

პაპუნა გაბისონია

ჭკადუაში

(ნარკვევი სოფლის ისტორიიდან)

რედაქტორი: თამაზ ბერაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

რეცენზენტი: 1) ბეჟან ხორავა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

2) ანზორ სიჭინავა.

კომპიუტერული უზრუნველყოფა: მაია გვილავა.

თბილისი 2015

ზუგდიდიდან 18 კმ-ის დაშორებით, ჩრდილოეთის მხარეს, მდინარე ჩხოუშიის (მდინარე ჯუმის შენაკადი) ხეობაში გაშენებულია სოფელი ჭადუაში, რომელიც ტერიტორიულ-ადმინისტრაციულად ზუგდიდის რაიონს ეცუთვნის. სოფელი ზღვის დონიდან 240 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. მისი რელიეფი გორაკ-ბორცოვანია. მეურნეობის ძირითად დარგს ძველად მარცვლეული კულტურის – სიმინდის მოყვანა შეადგენდა. გარკვეული ადგილი მეგენახეობას ეჭირა, რომელიც ძირითადად მაღლარი ვენახებით იყო წარმოდგენილი. მისდევდნენ მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის მოშენებას. მეურნეობის ყველა ეს დარგი მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის სამომხმარებლო მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა. გამონაკლის მარტო პრინც მიურატის ოჯახის კუთვნილი სავენახო მეურნეობა წარმოადგენდა, სადაც დვინოს ბაზარზე გასაყიდად ამზადებდნენ. საბჭოთა პერიოდში ჭადუაშში ჩაის ვრცელი პლანტაციები გააშენეს, ხოლო დღეისთვის უპირატესობა ისევ სიმინდის მოყვანას და თხილის კულტურის გაშენებას ენიჭება. სამეურნეო დანიშნულებით მიწის ფართო გამოყენებამ ტყის ფართობების შემცირება გამოიწვია.

სოფლის სახელწოდება ჭადუაში საფიქრებელია, რომ სამჭედლოს უკავშირდება (მეგრული „ჭადუა“ ქართულ ჭედვას, დაჭედვას შეესაბამება), ან გვარ ჭადუას (49, 390, 145). თუმცა 1886 წლის საკომლო აღწერის დავთარში ჭადუაშში არც ერთი ჭადუას გვარის წარმომადგენელი არ არის მოხსენიებული. აღსანიშნავია, რომ 1908 წლისთვის ბათუმის ოლქის გონიოს „უჩასტოკში“ არსებობდა ლაზებით დასახლებული სოფელი ჭადუეთი (62, 415).

ჭადუაშს საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო წარსული აქვს. სოფელში დღემდე შემორჩენილია XIX საუკუნის I ნახევარში აგებული დარბაზული ეკლესია და სამრეკლო. ასევე დგას ამავე საუკუნის 80-იან წლებში პრინც აშილ მიურატის და პრინცესა სალომე დადიან-მიურატის მიერ აშენებული ეკლესია ტიპის სახლი, მდინარე ჩხოუშიის მარჯვენა მხარეს ჩვენს დრომდე მოღწეული იყო გვიანი შუა საუკუნეების პატარა, დარბაზული ეკლესიის ნანგრევები.

არქეოლოგიურად ჭადუაში შესწავლილი არ არის და შესაბამისად აქ რომელიმე ისტორიული ხანის მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ძეგლი აღმოჩენილი არაა. სავსებით შესაძლებელია, რომ საძიებო სამუშაოების შესრულების შემდეგ გამოვლინდეს ძველი ეპოქის ნასახლარების ნაშთები ან სამარხები. ამას გვაფიქრებინებს 1965 წელს სოფელ სააფაქიო ენტერში, რომელიც ჭადუაშს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება, საცდელი გათხრების შედეგად გამოვლენილი ძველი ქვის ხანის ადამიანთა სადგომები, სადაც

ქვის იარაღებიც აღმოჩნდა (50, 85-87). ასევე, 1969 წელს ჭკადუაშის დასავლეთით 5-6 ქმ-ის დაშორებით, მდინარე ენგურის პირას სოფელ პალურში „საძვალეს“ სახელით ცნობილ ძეგლზე გაითხარა სარიტუალო სწორკუთხა მოედანი და 15 სამარხი, სადაც ძველი წელთაღრიცხვის VIII-V საუკუნეებით დათარიღებული ბრინჯაოს ნივთები, სამკაულები და კერამიკის ფრაგმენტები აღმოჩნდა, ხოლო „ეირსუპი I-“ის სახელით ცნობილ ბორცვზე: ახალი ქვის, გვიანი ბრინჯაოს, ძველი წელთაღრიცხვის VII-VI საუკუნეების, ელინისტური და ადრე ფეოდალური ხანის არქეოლოგიური ფენები გამოავლინეს (51, 26-28).

სოფელ ლიაში, ჭკადუაშის ჩრდილო-დასავლეთით, „დიდა ქირსას“ (ანუ მარიამ დვთისმშობელის) სახელით ცნობილ ბორცვზე, სადაც გვიანფეოდალური ხანის ციხე დგას, ციხე-სიმაგრის შიგნით არქეოლოგებმა ადრე ფეოდალური ეპოქის, ადრე ბიზანტიური ხანის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი წესებით აშენებული მცირე ეკლესიის ნაშთები აღმოაჩინეს (52, 128-129).

მდინარე ენგურის მარცხენა მხარეს მდებარეობს ტერასა, რომელიც ჯვარზენიდან ჭკადუაშამდე გრძელდება, არქეოლოგიურ ლიტერატურაში „ჭკადუაშის ტერასის“ სახელწოდებით არის ცნობილი. საფიქრებელია, რომ ისევე როგორც დღეს, ენგურის მარცხენა მხარეს, ჭკადუაშ-ენწერი-ჩხორის ტერასაზე იმთავითვე ხელსაყრელი პირობები არსებობდა ადამიანის სამოსახლოდ. ყოველ შემთხვევაში ენწერ-პალურის სადგომების აღმოჩენა ამის საგულისხმო მაჩვენებელია (53, 2. 50, 93-94).

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ჭკადუაშის ტერიტორიაზე მოსახლეობა უძველესი დროიდან უნდა ყოფილიყო, შუა საუკუნეების ჭკადუაშის შესახებ საისტორიო წერილობით წყაროებში ცნობები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. XVII საუკუნეში სამეგრელოში მოღვაწე იტალიელი კათოლიკე მისიონერის დონ არქანჯელო ლამბერტის რუკაზე მდინარე ჭანისწყალსა და ენგურს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე შემდგენ დასახლებული პუნქტებია დატანებული: „ლაკუა?!“, ბაში (დღევანდელი კორცხელის უბანი), კორცხელი, ზუგდიდი, წალენჯიხა, ჯგალი, რუხი, მაგრამ მათ შორის ჭკადუაში მოხსენიებული არ არის (54, 75-76).

XVIII საუკუნის II ნახევარში, მკვლევარ-ისტორიკოს ო. სოსელიას ვარაუდით, სამეგრელოს მთავარმა კაცია II დადიანმა (1757-1788 წწ.) თავის უმცროს ძმას გიორგის საუფლისწულოდ სხვა სოფლებთან ერთად ჭკადუაშიც უბობა (12, 97).

რადგან შუა საუკუნეებში ჭკადუაში საისტორიო წყაროებში არ იხსენიება, საფიქრებელია, რომ იგი რომელიმე დიდი სოფლის შემადგენლობაში შედიოდა. ჩვენი

ვარაუდით ასეთი სოფელი კორცხელი უნდა ყოფილიყო, რომელიც ჭკადუაში სამხრეთიდან ესაზღვრება.

კორცხელი გვიან შუა საუკუნეში ცნობილი სოფელია. იქ დგას XVII საუკუნის 30-იან წლებში სამეგრელოს მთავარ ლევან II დადიანის (1611-1657 წწ.) მიერ აშენებული დვთისმშობლის გუმბათოვანი ეკლესია (3, 151, 232), რომელიც ქრისტეს საფლავის მეტოქე (მონაცევალე) იყო საქართველოში (7, 194). ლევან II-მ კორცხელში მცხოვრები 100 კომლი ყმა-გლეხი იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერს შესწირა (8, 66).

კორცხელის ერთ-ერთი უბან ბაზში შემორჩენილია შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრის ნაშთები. ეს ციხე „ჩიუის კარის“ სახელითაა ცნობილი და მაღლობ ადგილ „ბაზის სუკზე“ მდებარეობს. თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე „ჩიუის კარის“ ციხე მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულების სიმაგრე იყო და ენგურის მარცხენა ნაპირის საკმაოდ დიდ პერიმეტრს აკონტროლებდა (4, 31-33). „ჩიუის კარი“ მოგვიანებით შერქმეული სახელია და ის თავის დროზე კორცხელის (კოცხერის) ციხის სახელით იყო ცნობილი. სამეგრელოს ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ცნობილია მტრებთან ბრძოლაში შეუპოვრობით განთქმული მებრძოლი, ვინმე „ჩიუი“ (73, 231), რომლის სახელიც შემდგომ მიეკუთვნა კორცხელის ციხეს. ანალოგიური ვითარება გვაქვს ისტორიული ჭაქვინჯის ციხესთან დაკავშირებით, რომელსაც დღეს ჯიხაშკარის ციხეს ემახიან.

გვიან შუა საუკუნეების კორცხელში დიდი ბაზრობა იმართებოდა, რასაც იტალიული მისიონერი ლამბერტი გვამცნობს (5, 158). 1633 წელს აქ მეორე კათოლიკურ მისიონერი ბერი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელიც იმყოფებოდა (6, 103-104).

ამგვარად, რადგან ამ პერიოდში კორცხელი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო, მის მეზობლად მდებარე ჭკადუაში (და არამარტო ჭკადუაში) კორცხელში შემავალი ერთ-ერთი პატარა სოფელი უნდა ყოფილიყო.

ჩვენს მიერ მოძიებული საისტორიო დოკუმენტებში ჭკადუაში XIX საუკუნის 40-იან წლებშია მოხსენიებული. 1849 წლის 18 მაისს სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა საგანგებო სიგელით გრიგოლ დადიანს სოფელი ლია უბობა. ამ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კორცხელი და ჭკადუაში გრიგოლის საგამგეო ტერიტორიაში არ შედის. ეს სოფლები სხვას ეკუთვნის (66).

ჭკადუაში შემდგომ 1855 წლის 18 მაისს აფხაზეთის მთავარ მიხეილ შარვაშიძის მიერ თავის მეუღლისადმი გაგზავნილ წერილშია მოხსენიებული (1, 37). იმავე წლის 11 ივნისს თავად ბებუთოვის მიერ თავად დოლგორუკისადმი გაგზავნილ რაპორტში

ნათქვამია, რომ აფხაზეთის მთავარი მიხეილ შარვაშიძე „აფხაზეთში წასვლამდე, თავის თჯახთან ერთად ენგურის მარცხენა ნაპირას მდებარე მეგრულ სოფელ ჭკადუაშში ცხოვრობდა და ზაფხულის ცხელი ამინდის გამო ლეჩხუმში გამგზავრებას აპირებდა” (2, 47).

ჭკადუაში იხსენიება ასევე 1856 წლის 12 აგვისტოს მთავრინა (დედოფალ) ეპატერინესადმი სახლთუხუცესის მიერ მიწერილ წერილში, სადაც ნათქვამია, რომ ჭკადუაშიდან გადმოსახლებული აზნაური ქუცა ჩაჩიბაია დასახლდა ბეჟაშდალში (67).

XIX საუკუნეში ჭკადუაში ზუგდიდის მაზრაში შედიოდა და სასოფლო საზოგადოებას წარმოადგენდა. მის შემადგენლობაში შედიოდა ენგურისპირა სოფელი რიყე, რასაც 1886 წლის აგვისტოში შედგენილი ჭკადუაშის სასოფლო საზოგადოების სია (9) და 1887 წლის 28 ნოემბერს ზუგდიდის საერობო სასამართლოს ბოქაულ ტატიევის განცხადება ადასტურებს. ამ განცხადების თანახმად ზუგდიდში საჯარო ვაჭრობით იყიდებოდა თავად ნიკო ბესარიონის ძე დადიანის კუთვნილი მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობდა სოფელ რიყეში, იგივე ჭკადუაშში (10).

ჭკადუაშს ასევე ეკუთვნოდა დღევანდელი სოფელი ჩხორია, რომელიც მას დასავლეთით ესაზღვრება. ჩხორას იმ დროს ბეჟაშდალი (ბეჟას დელ) ერქვა და უშუალოდ ჭკადუაშის ერთ-ერთი განაპირა უბანს შეადგენდა. ჩხორიას ცურყონასაც უწოდებდნენ (11, 322). რიყე და ბეჟაშდალი ჭკადუაშის სასოფლო საზოგადოებაში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე შედიოდა და მერე, ახალი სასოფლო-ადმინისტრაციული დაყოფის შემდეგ გამოეყო.

ჭკადუაში დადიანთა სათავადო სახლის კუთვნილი სოფელი იყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამეგრელოს მთავარმა კაცია II დადიანმა XVIII ს-ის II ნახევარში თავის უმცროს ძმას გიორგის საუფლისწულოდ შემდეგი სოფლები უბობა: ნოჯიხევი, ნოღა („სასახლე პალატი“ და ციხე-სიმაგრით), კურზუ („სასახლით“) აქ იყო მისი საზაფხულო რეზიდენცია – „დოხორუ“, ნაფიჩხუ, ოჩხომური, რიყე და ჭკადუაში. გიორგი დადიანს რიყეში საზამთრო საყოფელი პქონდა, ხოლო ჭკადუაშში – სასახლე. იგი 1799 წლის 5 დეკემბერს ლეჩხუმში, ზოგიშში გარდაიცვალა და დაკრძალეს მარტვილის ტაძარში. გიორგის სამფლობელოები მისი ძის, ნიკოლოზ (დიდი ნიკო) დადიანის ხელში გადავიდა.

ისტორიკოს ოლდა სოსელიას გვანჯი ჩიქოვანმა მიაწოდა ცნობა, რომ დიდი ნიკო 1780-1792 წლებს შორის დაიბადა ჭკადუაშის სასახლეში (12, 99-100). მკვლევარები: ს. დუმინი, პ. გრებელსკი და ი. ჩიქოვანი რუსეთში დაცულ ახლადადმოჩენილ საარქივო

მასალაზე დაყრდნობით, ნიკო დადიანის დაბადების თარიღი 1764 წელს ასახელებენ (13, 64). ჩვენ ეს თარიღი უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია.

ნიკოლოზ (დიდი ნიკო) დადიანი თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე და თავისი დროის ერთ-ერთი განათლებული პიროვნება იყო. იგი დიდი პატივით სარგებლობდა არამარტო სამეგრელოში, არამედ მთელ საქართველოში. დიდად აფასებდნენ მას რუსეთშიც. დიდი ნიკო სამეგრელოს სამთავროს მსაჯულთუხუცესი და მდივანბეგი იყო. 1804 წელს ის სამეგრელოს სამთავროს მმართველობის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი წევრად დაინიშნა. დიდი ნიკო 1805 წელს სამთავროს დეპუტაციას ხელმძღვანელობდა რუსეთში და მოლაპარაკებას აწარმოებდა საიმპერიო ხელისუფლებასთნ, რომ სამეგრელო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შეეყვანათ. იგი მონაწილეობდა 1806-1812 და 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომებში. რუსეთის მთავრობამ 1821 წელს ნიკოს გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭა და წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა (13, 64). თუმცა ახალგაზრდა მთავარმა ლევან V დადიანმა გამთავრებისთანავე, მიუხედავად მისი დიდი ავტორიტეტისა და გავლენისა, იგი თანამდებობიდან დააქვეითა (14, 76).

ნიკო დადიანი სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას ლიტერატურულ საქმიანობასაც კარგად უთავსებდა. მის კალამს ეკუთვნის საისტორიო ნაშრომი „ქართველთ ცხოვრება“, სადაც საქართველოს ისტორია უძველესი ხანიდან მის დრომდეა აღწერილი. მანვე დაწერა „დასტურლამა“ – სამართლის კრებული და რუსეთში მოგრაზურობის აღწერა – „მიმოსვლა“. წერდა ასევე ლექსებსაც (1, 41-42). ამ და სხვა დამსახურებების გამო თანამედროვეებმა მას „დიდი ნიკო“ შეარქვეს. თვითონ კი თავის სახელს და გვარს ასე წერდა: „ნიკოლაი გიორგის ძე დადიანოვი პირველი“. პირველს იმიტომ უმატებდა, რომ ეს განასხვავებდა მას სხვა ნიკო გიორგის ძე დადიანისაგან, რომელიც შეეფიდან იყო (3, 19) (საინტერესოა, რომ ნიკოს მამა გიორგი დადიანისძედ იწოდებოდა (12, 97).

ნიკო დადიანს თავის სიცოცხლეში ორი ცოლი ჰყავდა. მისი პირველი მეუღლე იყო გურიელ როსტომ ერისთავის ასული მარიამი. დაახლოებით 1800 წელს მისგან ნიკოს ვაჟიშვილი გიორგი შეეძინა. მარიამი და გიორგი პირველად 1802 წლის 7 ივნისის დოკუმენტში არიან მოხსენიებული (3, 19, 13, 64). დიდ ნიკოს მეორე ცოლისაგან, თავად მარშანიას ასულ ეკატერინესაგან ჰყავდა ვაჟები: ბესარიონი, ალექსანდრე, პეტრე, პავლე და ქალიშვილები: კესარია და ეკატერინე (ბათუ). კესარია ცოლად შეირთო ალი-ბეგ (ალექსანდრე) შარვაშიძემ, რომელიც აფხაზეთის ერთი მხარის – აბუუის (შუა

სოფელი) მფლობელი იყო. დიდი ნიკო 1834 წლის 25 თებერვალს გარდაიცვალა და მარტვილის ეკლესიაში მამის გვერდით დაპრძალეს (3, 9, 19, 13, 64). ჭკადუაში მამისგან მემკვიდრეობით გიორგიმ მიიღო, ხოლო რიყე – ბესარიონმა.

დიდი ნიკო საეკლესიო აღმშენებლობით საქმიანობასაც ეწეოდა. 1811 წელს მან განაახლებინა კორცხელის დვოისმშობლის ეკლესია, რასაც ტაძრის ერთ-ერთ სვეტზე შესრულებული მხედრული წარწერა მოწმობს (3, 11). ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია ნიკო დადიანის დღიური, რომლის ბოლოს არის მისი მინაწერი: „ახალდაბის ეკლესიის შენება დავიწყე წელს 1824-ს ივნისის 4“ (15). ამავე დღიურში ტოპონიმი ახალდაბა მრავალჯერ არის მოხსენიებული. ის ასევე დამოწმებულია 1842 წლის 8 იანვარს გაცემულ დოკუმენტში: „მიწერილი მთავრისაგან თავად ნიკო დადიანოვის ძეთადმი ახალდაბის მიცემულობის შესახებ“ (68). მკლევარ ო. სოფელიას ვარაუდით ახალდაბის ეკლესიის აშენება დიდი ნიკოს კუთვნილ რომელიდაც სოფელში უნდა მომხდარიყო (12, 104). ისტორიკოსმა შ. ბურჯანაძემ გადაჭრით ვერ გადაწყვიტა ამ ეკლესიის მდებარეობა ოჩამჩირის თუ ოკრიბის (იმერეთი) ახალდაბისთვის მიეკუთვნებინა (3, 12).

ვფიქრობთ, რომ ეს ახალდაბა არც ერთს არ ეგუთვნოდა. ნიკო დადიანს ოჩამჩირები და ოკრიბაში მამულები არ ჰქონდა. 1911 წლის 21 ოქტომბრის გაზეთ „კოლხიდაში“ მიგაკლიერ ცნობას, სადაც წერია: „1911 წლის 9 ოქტომბერს სოფელ ჭკადუაში უნდა მომხდარიყო კენჭისყრა ახალდაბის მთვარანგელოზის ეკლესის პირველი შტატის სამდვდელო კანდიდატის ასარჩევად“ (16). ასევე, 1923 წელს საქართველოს სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის კომიტეტის მიერ შექმნილმა საგანგებო კომისიამ პროფესორ გ. ჩუბინაშვილის, აკაკი ჭანტურიას და ზუგდიდის აღმასკომის წევრ ი. შონიას შემადგენლობით, იმავე წლის 24 მაისიდან 5 ივნისამდე ზუგდიდის მაზრაში არსებული ეკლესიები მოინახულა და საგანგებო აქტით მათი ხელშეუხებლობა დაადგინა. ამ ეკლესიებს შორის აღმოჩნდა: ჭკადუაშის ახალდაბის და პრინცესა მიურატის ეკლესიები (68, 84).

მიგვაჩნია, რომ ეს საყდარი არის დღეს ჭკადუაშის ცენტრში მდგომი დარბაზული ეკლესია და სამრეკლო, რომელიც მთვარანგელოზის სახელობის იყო და დიდი ნიკო დადიანის ბრძანებით XIX საუკუნის 20-იან წლებში ააშენეს. ჭკადუაში მცხოვრებ 1925 წელს დაბადებულ გრიშა (ქოჩო) დადიანს გადმოცემით გაუგონია, ამ ეკლესიის აშენებას დიდ ნიკოს რომ უკავშირებდნენ (55). ჭკადუაშს გარკვეული პერიოდი ახალდაბა ერქვა. 1842 წლის კავკასიის მხარის რუქაზე ეს სოფელი ახალდაბის სახე-

ლწოდებით არის დატანებული (71). 1861 წლის სამეგრელოს რუპაზე ჭკადუაშს ისევ ახალდაბა ეწოდა და აღნიშნულია იქ არსებული ეკლესია (72). ამას ერთგვარად ადასტურებს XIX საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწე იონა მეუნარგია. იგი ჩამოთვლის ზუგდიდის მაზრაში შემავალ სოფლებს, მათ შორის კორცხელს და ახალდაბას, მაგრამ ჭკადუაში დასახელებული არა აქვს (17, 112).

გამომდინარე აქედან, XIX საუკუნის 20-იან წლებში (ან უფრო ადრე) დიდი ნიკოს ბრძანებით ჭკადუაშს ახალდაბა უწოდეს. ეს სულაც არ არის გასაკვირი, რადგან იმავე საუკუნის დასაწყისში სამეგრელოს მთავრის გრიგოლის პატივსაცემად ზუგდიდისათვის გრიგოლიოპოლისის დარქმევა უნდოდათ. 1849 წელს სოფელს ისევ ძველი სახელწოდება დაუბრუნდა (67), ხოლო, როგორც ზემოთ ნახსენები საგაზეთო წერილებიდან ჩანს, 1911 წლისთვის ტოპონიმი ახალდაბა მხოლოდ ჭკადუაშის ცენტრალურ უბანს შემორჩა. აქ იდგა დიდი ნიკოს მამისეული სასახლე. ბოლოს 1890-1910 -იან წლებში ამ სახლში მისი შთამომავალი ნიკოლოზ (ჯვებე) დადიანი ცხოვრობდა. ადგილობრივ მაცხოვრებელს, 1914 წელს დაბადებულ ბესარიონ (ბორი) პაპავას ეს სასახლე კარგად ახსოვს. ის ხის ორსართულიანი შენობა ყოფილა, რომელსაც გალავანი და თხრილი პქონდა გარს შემოვლებული. იქვე იდგა დიდი ცაცხვის ხე. საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ დადიანთა ეს სასახლე დაანგრიეს, შემდგომ იქ ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკა ააშენეს.

დიდი ნიკოს უფროსი ვაჟი იყო გიორგი II დადიანი (1800-1883 წწ.). რომელსაც მამისაგან მემკვიდრეობით ჭკადუაში გადაეცა. ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი, რომელიც გარკვეული ხნის განმავლობაში სამეგრელოს სამთავროს უმაღლეს საბჭოში მუშაობდა, მის შესახებ წერდა: „ეს კაცი შუა ხნისაა, მას საუცხოო, კეთილშობილური და ჭკვიანი გარეგნობა აქვს. ქართულს ლაპარაკობს მჭერმეტყველურად და ძველებური დახვეწილი ზრდილობის პატრონია“ (1, 45). გიორგი დაქორწინებული იყო ბარბარე ისლამის ასულ დადეშქელიანზე, რომლისგანაც პყავდა ხუთი შვილი: ქალიშვილები – ალექსანდრა, შინაურობაში ცუცუ (1822-1864 წწ.), მაია (1833-1922 წწ.) და ვაჟიშვილები – დავითი (1830-1907 წწ.) ანტონი (დაიბადა 1835 წელს), კონსტანტინე (1846-1903 წწ.).

გიორგი ერთხანს სამთავროს კარზე მდივანბეგად იყო დანიშნული, მაგრამ 1836 წელს იგი გადააყენეს (13, 65). ამის მიზეზი იყო მისი ქალიშვილის ალექსანდრას (ცუცუ) გათხოვება აფხაზეთის მთავარ მიხეილ (პამჟო ბეგ) შარვაშიძეზე. ამ ქორწინებას სასტიკად ეწინააღმდეგებოდა კავკასიის მთავარმართებელი ბარონი როზენი, რომელიც

კიცხავდა აფხაზეთის მთავარს, რომ მას უკანონო ქორწინება სურდა, რადგან წინათ თრი ცოლი ჰყავდა, რომელთაგან ერთი იმუმადაც ცოცხალი იყო. მიხეილის ყოფილი ცოლი – მარიამი, შხეფელი ნიკო დადიანის ასული იყო. ალექსანდრას შერთვამდე მიხეილი სამეგრელოს მთავრის ასულ ნინოზე დაქორწინებას ცდილობდა, მაგრამ როზენის კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ სამეგრელოს მთავარმა ლევან V დადიანმა აფხაზეთის მთავრის წინადადება უარყო. ამის შემდეგ, 1836 წლის იანვარში, ალექსანდრა დადიანი, რომელიც მამიდა კესარიასთან აფხაზეთში, სოფელ კოდორში იმყოფებოდა, მიხეილ შარვაშიძემ მოიტაცა და 18 იანვარს იქორწინა მასზე (18, 447).

კავკასიის მთავარმართებლის მიერ ამ ქორწინების აკრძალვის ნამდვილ მიზეზს წარმოადგენდა ის, რომ რუსეთის ხელისუფლება აფხაზეთის მთავარს არასანდო პიროვნებად მიიჩნევდა და მიხეილს ოსმალეთის იმპერიასთან კავშირში სდებდა ბრალს. ამის გამო გიორგი დადიანი სამსახურიდან დაითხოვეს. საფიქრებელია, რომ გიორგის ინტერესებშიც შედიოდა ეს ქორწინება, რადგან ამით იგი აფხაზეთის მთავრის ოჯახს უმოყვრდებოდა. სამეგრელოს მთავართან კონფლიქტის გამო გიორგი დადიანი იძულებული გახდა 30 თანმხლებ პირთან ერთად თავი სვანეთში სიმამრისთვის შეეფარებინა, მაგრამ მალე მოდავე მხარეები შერიგდნენ და გიორგიც ჭკადუაშში დაბრუნდა (13, 64).

თვით ალექსანდრა გიორგის ასული გამორჩეული სილამაზის და ზნეობრივი თვისებების მქონე ქალი ყოფილა, რასაც აღტაცებაში მოუყვანია გენერალი ბებუთოვი, რომელიც აღნიშნავდა, რომ ალექსანდრამ აფხაზების დიდი სიყვარული მოიპოვა, როცა ბზიფის ოლქს მთავრის არყოფნის დროს განაგებდა. ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლის დროს, ერთ-ერთ საბრძოლო ოპერაციაში მას განსაკუთრებული გამჭრიახობა და თაოსნობა გამოუჩენია (19, 48). დიმიტრი ყიფიანი ალექსანდრას „მშვენიერ, ჭკვიანს, ღვთისმოსავს და მოსიყვარულე ადამიანს“ უწოდებდა, რომელიც – „ხუთი შვილის დედა და ქმარსაც მსურვალედ უყვარს“. სხვაგან დიმიტრი ყიფიანი წერდა: „ალექსანდრა როგორც ჩანს, ძალიან ახალგაზრდად და მიუხედავად იმისა, რომ ხუთი შვილი ჰყავს, ძალიან კარგად არის შენახული და შეიძლება ითქვას, რომ მშვენიერია. ქართულს ლაპარაკობს თავის მამასავით ჩინებულად“. მას დ. ყიფიანისთვის „უთქვამს: „ჩემთვის მეტად სასიამოვნოა, რომ თქვენ გხედავთ, რადგან თქვენ ქართველი ხართ და მაშასადამე ჩვენი ქვეყნის შვილი“ (1, 47-48).

ალექსანდრა აფხაზეთში გათხოვების შემდეგაც სტუმრობდა მშობლიურ სოფელ ჭკადუაშში მამის სახლს. 1853 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის მორიგი, ე.წ. „ყირიმის

ომი”, რომელმაც აფხაზეთისა და სამეგრელოს სამთავროებიც მოიცვა. ოსმალთა სარდალი ომერ-ფაშა მრავალრიცხვანი ჯარით ჯერ ზღვით აფხაზეთში შემოვიდა და იქიდან სამეგრელოსაკენ გამოემართა. აფხაზეთის მთავარმა მიხეილ შარვაშიძემ რუსების მხარე დაიკავა და დიდი დახმარებაც გაუწია, თუმცა ამაგი არ დაუფასეს და დალატიც დასწამეს, მაგრამ ვერ დაუდასტურეს. ომის დროს, როცა ომერ-ფაშა ოდიშ-აფხაზეთს იკლებდა, მიხეილს ცოლ-შვილი თავდაპირველად სიმამრთან, გიორგი დადიანთან ჭკადუაშში ჰყავდა გახიზნული. თვითონაც ერთი პერიოდი იქ იყო, მაგრამ 1855 წელს თავის სამთავროს დაუბრუნდა. ჩვენ ზემოთ ვახსენეთ გენერალ ბებუთოვის პატაკი, რომლითაც ის ზემდგომებს მიხეილის ჭკადუაშში ყოფნას და მერე უდან, აფხაზეთში დაბრუნებას ატყობინებდა. შემორჩენილია მიხეილის წერილი ალექსანდრასადმი ჭკადუაშში მიწერილი: „საყუარელო ალექსანდრა! გრიგოლ შარვაშიძე და ქირთ ტაგუ (ე.ი. ქართველი ტაგუ) გამომიგზავნია ვითომც შენი და ბავშვების წასაყვანად აქეთ, და არამც არ დაუჯეროთ იმათ და არ წამოხვიდეთ. ეს არავინ გაიგოს. რამდენ ხანს შეძლო შეიქციე, და მამაშენი როცა მოვა, თვითონ მიხვდება. ეს წიგნი უჩვენე და რავარც ჯობდეს ისე იქმს. გიორგი (მიხეილის შვილი, შემდგომში ცნობილი საზოგადო მოღვაწე) გიორგი შარვაშიძე) შენთან მოყვანისკ, ლეხხეუმს არ წაიყვანონ. ბაბუშია (მეორე შვილი) ჩქოტუებს გამოატანე, გულნაკლულად არიან, გაზრდილი წაგვართვით. მე მაღლ ვერ მოვალ, მაგრამ ჩემთვის ნუ სწუხხარ, პატარა გიორგი შეგიძლევს. შენი მიხაილ შარვაშიძე. 18 მაისი 1855 წლისა, ოჩამჩირით“. წერილს გარედან აწერია „აფხაზეთის მთავრინა ალექსანდრა გიორგის ასულსა ჭკადუაშს, საკუთარ ხელს“ (1, 37).

გიორგი II დადიანი და მისი ძმები: პეტრე და ბესარიონი სამეგრელოს ახალგაზრდა მთავრის დავით დადიანის დიდი მოწინააღმდეგები იყვნენ, თუმცა ამას გარეგნულად არ ამჟღავნებდნენ. 1855 წელს მათ სოფელ სუჯუნაში ხალხი აუმხედრეს ბოქაულოუ-სუცეს კონსტანტინე დადიანს (მთავრის ძმას), რომელსაც სუჯუნის სასწაულმოქმედი წმინდა გიორგის ხატის გადასვენება უნდოდა მარტვილის ეკლესიაში, დედოფალ ეკატერინეს განკარგულებით. მთავარი მათ „სამ მუშაკეტერს“ ეძახდა (14, 81, 98).

გიორგი II დადიანის ვაჟებიდან უფროსი – დავით დაქორწინებული იყო ბაბილინა გიორგის ასულ გურიელზე, მომდევნო ანტონს ცოლად ჰყავდა ეკატერინე ქაიხოსროს ასული წულუკინე, ხოლო უმცროსის, კონსტანტინეს მეუღლე ელენე ოთარ დადეშელიანის ასული იყო. გიორგის უმცროსი ქალიშვილი მაია ცოლად ჰყავდა მთავრის ძმას კონსტანტინე დადიანს.

დავით დადიანს ქალ-ვაჟი: ბარბარე (შინაურობაში ბაჭყა, დაიბადა 1858 წელს) და ნიკოლოზი, იგივე ჯვებე (დაიბადა 1865 წელს) პყავდა. ჯვებე დაქორწინებული იყო მარიამ დადეშქელიანზე. კონსტანტინე დადიანის ვაჟი მუშნი დადიანი (1874-1924 წელი) ნიუეგოროდის დრაგუნთა პოლკის ოფიცერი იყო. იგი აზნაურ ჯიჯიკიას ქალიშვილ ეკატერინეზე იყო დაქორწინებული. მუშნი და მისი ძმა დავითი (იგივე ოთარი) 1924 წელს ბოლშევიკებმა დახვრიტეს (13, 64).

ძირითადად ასეთი იყო ჭკადუაშის დადიანთა სათავადო სახლის ძირითადი შტოს გენეალოგიური ნუსხა. დიდი ნიკოს შთამომავალთა ნაწილი ჭკადუაშ-რიყეს გარდა სოფელ ოჩხომურშიც მკვიდრობდა.

1856 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომის დამთავრების შემდეგ, 1857 წელს სამეგრელო გლეხთა დიდმა აჯანყებამ მოიცვა, რომელსაც მჭედელი უტუ მიქავა ჩაუდგა სათავეში. იგი სოფელ ფუქიდან (დღევანდელი სოფელი მიქავა, წალენჯიხის რ-ნი) იყო და სოფელ ჯვარში სამჭედლო პქონდა გახსნილი. როგორც ცნობილია ამ ომში ოსმალთა შემოსევის გამო სამეგრელო განსაკუთრებით დაზარალდა. მებატონებმა ომერ-ფაშას ჯარისაგან მიყენებული ზარალის ანაზღაურება გლეხთა სასტიკი ექსპლოატაციის ხარჯზე დაიწყეს. სამეგრელოს დედოფალ ეკატერინეს რუსეთში ყოფნის დროს სოფელ სალხინოში გლეხთა მღელვარება დაიწყო და მაღე ის გრანდიოზულ ამბოხებაში გადაიზარდა, რაშიც მთელი სამთავროს გლეხობამ მიიღო მონაწილეობა. სამეგრელოს სამთავრო კარმა დახმარებისათვის რუსეთის ხელისუფლებას მიმართა და ეს აჯანყება იმერეთის გენერალ-გუბერნატორმა კოლუბიაკინმა ჩაახშო. ამბოხების მოთავეები და აქტიური მონაწილეები დააპატიმრეს და ხანგრძლივი ვადით რუსეთის შორეულ მხარეებში გადასახლება მიუსაჯეს. აჯანყების მეთაური უტუ მიქავა არხანგელსკში გადაასახლეს, საიდანაც იგი 11 წლის შემდეგ დაბრუნდა. ბუნებრივია სამეგრელოს გლეხების ასეთ ფართო გამოსვლას არც ჭკადუაშელი გლეხები დააკლდებოდნენ და საყოველთაო ჩაგვრის წინააღმდეგ, რასაც სხვებივით ისინიც განიცდიდნენ, ხმას ამოიღებდნენ. მართლაც ჩვენამდე მოღწეულია ცნობა აჯანყებაში მონაწილე ორი ჭკადუაშელი გლეხის შესახებ.

1857 წლის 16 სექტემბერს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი №85 პატაკს უგზავნის კავკასიის მეფისნაცვალს. ამ პატაკში დაპატიმრებულ გლეხთა სიაში მოხსენიებულია სოფელ ჭკადუაშში მცხოვრები დათუ მიკის ქე ნაჭყებია (თავად გიორგი დადიანის ქმა) და უტუ ივანეს ქე ნაჭყებია (თავად ბესარიონ დადიანის ქმა). პატაკში ხაზგასმითაა მითითებული, რომ ეს გლეხები მთავრობას განსაკუთრებულ

წინადღებობას უწევდნენ და ამიტომ 6 წლით ციმბირში მათ გადასახლებას ითხოვდნენ. 1857 წლის 25 ოქტომბერს კავკასიის მეფისნაცვალი რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრს პატაკს უგზავნის, საიდანაც ირკვევა, რომ დათუ და უტუ ნაჭყებიები რუსეთის შიდა გუბერნიაში, სამხედრო-საჯარიმო ბატალიონში გაამწევეს ერთი წლის ვადით, ხოლო ვადის გასვლის შემდეგ იქვე, გადასახლებაში კიდევ ორი წელი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ უნდა ეცხოვრათ (20, 85).

1876 წლის ივნისში ჭკადუაშის მეზობელ სოფლებში: ლიასა და ფახულანში გლეხთა მღელვარებამ იფეოქა. გლეხობა თავად გრიგოლ დადიანს აუმხედრდა, რომელიც ფულადი გადასახადის ამოღებას იძულების წესით ცდილობდა. მებატონეს მთავრობის მოხელეები დაუდგნენ გვერდში. ლიასა და ფახულანში ზუგდიდის მაზრის უფროსის მეთაურობით სამხედრო რაზმი გაიგზავნა ამბოხებულთა დასასჯელად. ამ დონისძიებამ საქმე კიდევ უფრო გაართულა. ლიასა და ფახულანის გლეხობას მეზობელი სოფლების, მათ შორის ჭკადუაშელი გლეხებიც გვერდში დაუდგნენ და მათმა რიცხვმა 4 ათასს მიაღწია. საბოლოოდ დამხმარე სამხედრო ძალების გამოყენებით ქუთაისის გუბერნატორის მოადგილემ და პოლკოვნიკმა პრინცმა მღელვარების ჩაქრობა მოახერხეს (63).

\* \* \* \*

1880-იან წლებში ჭკადუაში ფართო სავენახო-მეურნეობის გაშენება დაიწყეს პრინც აშილ მიურატმა და მისმა მეუღლემ, პრინცესა სალომე დადიან-მიურატმა. როგორც ცნობილია, საფრანგეთის უმაღლესი არისტოკრატიული ოჯახის წარმომადგენელი, იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტეს დის შვილი შვილი, აშილ შარლ ლუი ნაპოლეონ მიურატი 1867 წელს პარიზში დაქორწინდა სამეგრელოს მთავრის დავით დადიანისა და დედოფალ ეკატერინე ჭავჭავაძის ასულ სალომეზე. მალე მიურატები საქართველოში, სამეგრელოში გადმოვიდნენ საცხოვრებლად. აქ დედოფალმა ეკატერინემ სიძე-ქალი შვილს მამულები ზუგდიდში, სალხინოში, ჭკადუაში და რიყეში უბობა. აშილსა და სალომეს ჰყავდათ ვაჟი შვილები – ლუსიენი შარლ-დავითი (ლუკიანე) და ნაპოლეონი ლუი-აშილი (ნაპო) და ერთი ქალი შვილი – ანტუანეტა (შინაურობაში ბებე). მიურატებმა სალხინოში კეთილმოაწყვეს იქ არსებული დადიანების ყოფილი სასახლე, გააშენეს მდინარე წაჩხურის პირას მშვენიერი ბაზი

და ჭადრების ხეივანი, რაც მთავარია მოაწყვეს მეგენახეობის დიდი მეურნეობა, კერძოდ, დიდ ფართობზე გააშენეს ადგილობრივი ოჯალების ჯიშის ვაზი, რომლისგანაც საუცხოო ხარისხის დვინო დგებოდა. მიურატებმა მეურნეობა ევროპულ ყაიდაზე მოაწყვეს, სადაც ადგილობრივ დაქირავებულ მუშახელს იყენებდნენ. ოჯალების ჯიშის ვაზი, რომელსაც XIX საუკუნეში ფილოქსერას გავრცელების გამო გადაშენება ემუქრებოდა, ფაქტობრივად მიურატების სამეურნეო მოღვაწეობის შედეგად გადარჩა და დღემდე მოაღწია.

1880-იანი წლებიდან აშილმა და სალომემ ანალოგიური მეურნეობის მოწყობა ჭკადუაშში დაიწყეს. აქ მათ ევროპული ტიპის ვილა ააშენეს და ვენახების გაშენებას შეუდგნენ, თან ადგილობრივთან ერთად ამერიკული და ფრანგული ვაზის ჯიშებიც დარგეს (სამეგრელოში დღესაც შემორჩენილია ვაზის ჯიში, რომლისგანაც შავი დვინო მზადდება და მას „ფრანგულას“ უწოდებენ).

მიურატების ერთსართულიანი ვილა დღესაც დგას ჭკადუაშში მდინარე ჩხოუშის მარცხენა მხარეს, საქმაოდ მაღალ გორაკზე და მისი უკანა მხარე მდინარეს ტყით დაფარულ ხეობას გადაჰყურებს. სახლის უკან ციცაბო ფერდობია, სადაც აკაციის კორომები იზრდებოდა. ვილას წინა მხრიდან გარს ოდნავ ამაღლებული ვაკე აკრავს (დღეს იქ ყოფილი პიონერთა ბანაკის კორპუსები დგას). სახლის გარშემო მშვენიერი პანორამა გაშლილი: ჩრდილოეთით კავკასიონის მთები მოჩანს ხოლო სამხრეთით და დასავლეთით კოლხეთის დაბლობი იშლება. ვილის გვერდით დგას მიურატების მიერ დარგული არაენდემული წარმოშობის უზარმაზარი ხე. შენობის ასაშენებლად გამოყენებულია რიყის ქვა, აგური, თიხა და ხე. შენობა ერთსართულიანია და თითქმის მთლიანად ხის აივანი უვლის გარს.

მთავარი შესასვლელიდან მისაღებ ოთახში შევდივართ, რომელიც ორი კარით გრცელ დარბაზს უკავშირდება, რომელსაც სამი ტრაპეციის ფორმის დიდი ფანჯარა ამშვენებს. მისაღები ოთახის მარჯვნივ ოთხი ოთახია განლაგებული, რომლებსაც აივნიდან ცალ-ცალკე შესასვლელი კარები აქვთ, მხოლოდ ერთი ოთახი ცალკე კარით უკავშირდება მისაღებს (გადმოცემით ამ ოთახს ეტყობოდა იმდროინდელი ნატყვიარი, როცა პრინცმა აშილმა თავი მოიკლა). მარცხენა მხარეს სამი ოთახია განლაგებული. სამხრეთ-დასავლეთით ვილისთვის ცალკე ოთახია მიღგმული, ხოლო სამხრეთით მას ორ ოთახიანი ფლიგელი ეკვრის. დიდი დარბაზის ქვეშ ვრცელი სარდაფია მოწყობილი, რომელიც ნახევრად მიწაშია და ქვით არის ამოყვანილი. შორიახლოს, სახლიდან 10-12 მეტრის დაშორებით მარნის ნანგრევებია შემორჩენილი.

ვილის სიგრძე 28 მეტრს, ხოლო სიგანე 13 მეტრს შეადგენს. შენობის ძირითადი ნაწილისათვის მიღებული დარბაზის სიგრძე 13 მეტრია, სიგანე – 8,5 მეტრი, ფლიგელის სიგრძე 10 მეტრია, სიგანე 10 მეტრი.

მიურატების ამ საცხოვრებლის დღევანდელი მდგომარეობა ძალიან მძიმეა. კედლები დაბზარულია, ბათქაში ჩამოცვენილი, იატაკი ზოგად დამპალია, რადგან სახლს აწვიმს. უნდა ითქვას, რომ საცხოვრებლად ვილა ძალიან მოხერხებულია და მის ამგებს უგემოვნებს ნამდვილად ვერ დავსწამებთ. ოთახების განლაგება გონივრულად არის გადაწყვეტილი. იგი სავსებით კომფორტული და მყუდრო საცხოვრებელი ნაგებობაა. უდავოდ, ძალიან კარგი საქმე გაკეთდებოდა თუ მოხდებოდა ამ ვილის რესტავრაცია, რადგან ამ სოფლის წარსულის ერთ-ერთი ამსახველი ნაგებობაა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აშილმა და სალომემ ჭკადუაშში ვენახები გააშენეს და მედვინეობას მოჰკიდეს ხელი. 1894 წელს მათ ჭკადუაშში, თავის მამულში მასპინძლობა გაუწიეს ი.გ. კლინგენის სამეცნიერო ჯგუფს, რომლებიც ქუთაისის გუბერნიის სამეურნეო ცხოვრების შესწავლას აწარმოებდა. ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა გიორგი ჩიხუამ ამ ექსპედიციის მოგზაურობას გაზეთ „ივერიაში“ სტატიები მიუძღვნა და მათ შორის ჭკადუაშში მიურატებთან სტუმრობაც აღწერა: „აქ მასპინძელმა კარგად მიგვიღო და დაგვატარა თავისი ზვარი, რომელიც გაუშენებია აქ ჭკადუაშშივე და სივრცით იქნება 40 ქცევამდე. ზვარში თითქმის ყველა გვარი ვაზია ჩვენებური: სვანური (ობჟალეში-ალბათ ოჯალეში), საფერავი, მწვანე და ფრანგული მურვედი (ეს ფრანგული მურვედი და ჩვენებური სვანური, მეგრულად შონური ერთი და იგივე ყურძენია, დაუდგენელია საფრანგეთიდან მოუტანიათ სამეგრელოში თუ სამეგრელოდან წაუდიათ საფრანგეთში. ახლა კი მურვედი პრინცს საფრანგეთიდან აქვს გამოწერილი. პრინცს ჩვენი ვაზები დაუმყნია ადესას (იზაბელა) ვაზზედ, ყველას კარგად უხარნია და იმედიც პქონდა კარგი მოსავლისა, მაგრამ სამწუხაროდ ვაზს ფილოქსერა გასჩენია. პრინცი უვლის და სწამლობს ვაზს, მაგრამ არ ვიცი ამისგან რა გამოვა. ეს დიდი გვარის კაცი თავისი ცოლ-შვილით ისეთი მუშაკია, რომ სასურველია მეზობლებმა ამათ მაინც წაპხამონ და უკადრისობა მიწის მუშაობისა დაივიწყონ. პრინცისა და პრინცესას შვილებს ისე კარგად შეუსწავლიათ მეურნეობის წესი და განსაკუთრებით ვაზის მოვლა, რომ სასიამოვნო სანახავნი არიან. მოელი დღე მუშაობაში არიან გართულნი. პრინცმა თავის ლვინოების ჭაშნიკი გვიჩვენა. ეს ლვინოები კარგი ღირსების არიან. გვაჩვენეს აგრეთვე მათი ლვინოებისაგან შინ გაკეთებული კონიაკი, ყოველსავე ამას ისინი უვლიან და მათი ზედამხედველობით კეთდება (21).

ჭკადუაშში აშილ მიურატის სამეურნეო მოღვაწეობას შეეხო თლდმერიც, რომელმაც აშილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ვრცელი წერილი გამოაქვეყნა გაზეთ „Новое обозрение“-ში 1895 წლის 4 მარტს. მოგვყავს წერილიდან ნაწყვეტი, რომელიც იმითაც არის საინტერესო თუ რა რეზონანსი გამოიწვია ადგილობრივ მცხოვრებლებში პრინცის ფართო სამეურნეო საქმიანობის გაჩადებამ და მან ჩვენში რა ჯიშის ფრანგული ვაზის ნერგები შემოიტანა: „აშილ მიურატმა ჭკადუაშში გადმოსახლების მერე ხელი მიჰყო სოფლის მეურნეობას, თუმცა აქ მას მრავალი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. პრინცმა აქ მცხოვრებლებს საკუთარი მამულით სარგებლობა აუკრძალა და მიწები დობით შემოაკავა. წინათ ამ ტერიტორიებს იქვე მცხოვრები ჭკადუაშელი გლეხები საქონლის საბალახოდ იყენებდნენ, ხოლო მეურნეობის მოწყობის შემდეგ ეს შეუძლებელი გახდა. ისმოდა საჩივრები: „ასეთი მემამულის გვერდით ცხოვრება შეუძლებელია, ქათმებსაც კი არ შეუძლიათ მის ღობეს გადაუფრინონ“. თუმცა გარკვეული დროის გავლის შემდეგ გლეხებში ეს მოსაზრება მკვეთრად შეიცვალა. ჭკადუაშში უკვე გაისმოდა: „საჭიროა ისე მუშაობა, როგოც პრინცი მუშაობს“ ან „ისე უნდა დაიცვა საკუთრება როგორც პრინცი იცავს“. 1889 წელს პრინცმა დაიწყო ვენახების გაშენება იქ სადაც გაუვალი ეკალ-ბარდი, დაუმუშავებელი მიწები იყო, მიურატების ოჯახმა დარგო იმერული, ფრანგული და ამერიკული ჯიშის ვაზის ნერგები. მათ შორის: კაბერნე, კაბერნე-სავინიონი, მურვედი, ფოლ-ბლანში, პორტუგებლე, დიურიფი, ვერდო და მალბეკი. ამ ყურძნის ჯიშებმა ბრწყინვალედ გაიხარეს და ჭკადუაშში პრინცის სავენახე მეურნეობამ 10 დესეტინა მიწა დაიკავა“(22).

უნდა ითქვას, რომ ჭკადუაშში მიურატის მოსვლამდე ადგილობრივი მცხოვრებლები აქაური ვაზის ჯიშებისაგან ძალიან კარგი ხარისხის ღვინოს აყენებდნენ. 1885 წელს, როდესაც ილია ჭავჭავაძე სამეგრელოს სტუმრობდა, სოფელ ცაიშში მას მასპინძლობა იონა მეუნარგიამ საკუთარ სახლში გაუწია. სადილობისას ილიას რამდენიმე ყანწი თჯალეშის ღვინო მიურთმევია, რომელიც მისთვის საგანგებოდ ჭკადუაშიდან ჩამოუტანიათ. (23, 36). ეს თჯალეში მცირე რაოდენობით გაუშენებიათ მიურატებს აქ, ხოლო შედარებით მრავლად ცოლიკაური და ფრანგული მალუაზი (55).

იმ დროს, როცა აშილ და სალომე მიურატები ჭკადუაშში სავენახე მეურნეობას აწყობდნენ, ადგილობრივი თავადი, ვექილი დავით გიორგის ძე დადიანი და მისი ვაჟიშვილი ჯვებე (ნიკოლოზი) საკუთარი მიწების გაყიდვით იყვნენ დაკავებული. 1894 წელს დავით და ჯვებე დადიანისაგან ძოვია ჯოლიამ სამი ქცევა მიწა სამოც მანეთად იყიდა. ძოვიას მამა – გურუმია გიორგი მეორე დადიანის ყმა იყო. შემდეგ ძოვია სოფელ

შეშეღეთში გადასახლდა და თავისი მიწა კი ჭკადუაშელ გლეხ გვაჩი ივანეს ძე პაპავას მიჰყიდა. 1895 წლის ივლისში გვაჩი პაპავა უკვე უშუალოდ დავით დადიანისაგან 300 მანეთად ყიდულობს მიწის ნაკვეთს ჭკადუაშში და მას ყველა წესის დაცვით ზუგდიდში, სანოტარო კანტორაში, რომელიც პრინცესა მიურატის სახლში იყო განთავსებული, ნოტარიუს სოლომონ ჯიქიასთან აფორმებს (24).

ჯვებე დადიანი მამულების გაყიდვის მერე თავის მეზობელ გლეხებს დაუპირისპირდა. მაგალითად, თავის დროზე ჭკადუაშში დიდი აურზაური გამოუწვევია მასა და გლეხ ბურდღუ ბუნავას შორის დავას. ერთხელ ჯვებე მთავრობის მოხელეთა თანხლებით გადასახადის წასართმევად ბუნავას ოჯახში შეჭრილა. ბურდღუს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწევია. საქმე ხელჩართულ ჩხუბამდეც მისულა. ბოლოს მოდავე მხარეები ალექსი ჩიქოვანს გაუშველებია და რადგან ბურდღუ ბუნავა მართალი ყოფილა, საბოლოოდ ის გაუმართლებიათ (60, 438).

ზემოთ მოყვანილი ეს ფაქტები კარგად ასახავს ბატონიშვილის გაუქმების შემდეგ სოფლად შექმნილ რეალობას, როცა გადარიბებული მემამულისაგან შეძლებული გლეხი უძრავი ქონების ყიდვას და დამტკიცებას ცდილობს. ამ მხრივ გამონაკლისს არც ჭკადუაში შეადგენდა. უფრო უარეს დღეში ჩავარდა ჭკადუაშის სასოფლო საზოგადოებაში შემავალ სოფელ რიყეში მცხოვრები თავადი ნიკო ბესარიონის ძე დადიანი, რომელსაც 1887-1888 წლებში ზუგდიდის საერობო სასამართლოს გადაწყვეტილებით ვალის გამო ორჯერ საჯარო ვაჭრობით გაუყიდეს მიწის ნაკვეთები (10).

\* \* \* \*

1895 წლის 15 თებერვალს, დილის 3 საათზე ჭკადუაშში საკუთარ სახლში თავი მოიკლა პრინცმა აშილ მიურატმა, რომელიც ციებით იყო ავად და აუტანელი ტკივილები ტანჯავდა. ოჯახის წევრებს, რომლებიც თოვის ხმაზე იმ ოთახში შევარდნენ სადაც ავადმყოფი იწვა, საშინელი სურათი დაუხვდათ: უკვე გარდაცვლილი პრინცის საწოლზე აბოლებული თოვი ეგდო (26). მიურატის გარდაცვალებამ იმდრო-ინდელ საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება გამოიწვია. პრესის ფურცლებზე მისი დვაწლისა და დამსახურების შესახებ ბევრი წერილი დაიწერა. მისი სიკვდილი ყველასთვის მოულოდნელი და გულსატკენი იყო.

გარდაცვლილი პრინცი 1895 წლის 22 თებერვალს დაკრძალეს ჭკადუაშში, თავისივე მამულში მშენებარე კათოლიკურ ეკლესიასთან (აშილი კათოლიკური აღმსარებლობის მიმდევარი იყო). დაკრძალვას დიდალი ხალხი დაესწრო. ეს ამბავი

გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზეც გაშექდა: „ოცდაორს ამ თვეს დაკრძალეს პრინცის აშილ მიურატის ნაშთი. რამდენსამე დღის წინ გარდაცვალებული პრინცის ნაშთის დაკრძალვისას ქუთაისიდან მოვიდა ჰერცოგიაშვი პრინცი ოლდენბურგი მეუღლითურთ. ნაშთის დაკრძალვას დაეხსრნენ გურია-სამეგრელოს მღვდელმთავარი გრიგოლი, სამეგრელოს თავადი ნიკოლოზი (ნიკოლოზ დადიანი, სალომეს ძმა), თავადი კონსტანტინე მუხრანსკი, ტფილისის გუბერნაცორი თავადი შარვაშიძე მეუღლითურთ, ძმა განსვანებულისა პრინცისა ლუსიენ მიურატი, ზუგდიდის მაზრის თავად-აზრანურთა წინამდოლი, წარჩინებული თავად-აზნაურნი, სამღვდელოება, ადგილობრივი ადმინისტრაცია, მოხელენი. სამეგრელოს და ყოველი მხრიდან მოვიდა ხალხი პატივსაცემად დირსეულის ქაცისა, რომელიც 18 წელიწადია ცხოვრობდა აქ.

სასახლის ერთ ზალაში ესვენა ძვირფას კუბოში ნაშთი განსვენებულის პრინცისა, შემკობილი ყვავილებით და გვირგვინებით. ხალხი შემოდიოდა და მდუღარე ცრემლით დასტიროდა პრინცის ნაშთს. 4 საათზე გამოასვენეს ნაშთი განსვენებულისა, რომელსაც გამოჰყაო თჯახობა და ნათესაობა. კუბო მოჰქონდა თავად შარვაშიძეს და სხვა პატივცემულთ. წინ კელაპტებით, ბაირადებით, მგალობლებით მიუძღვის კათოლიკთა პატრი. უკან მიჰყებოდა დიდმალი ხალხი. ამრიგად, პრინცის ნაშთი მიიტანეს საკუთარსა, ჯერ-ჯერობით დაუმთავრებელ კათოლიკთა ეკლესიის ეზოში, სადაც დამზადებული იყო ნაშთის დასაკრძალავად „აკლდამა“. იქ დაასვენეს კუბო წესის ასაგებად. გაათავა თუ არა წესის აგება კათოლიკეთა პატრმა, ბატონმა ა.ა. ვერმიშვილი წარმოსთვა სიტყვა“ (27).

სალომემ მეუღლის საფლავზე სამღვდელო (ე.წ. ჭავალავი) ააგო, რომელიც 4 სვეტიან გადახურულ ნაგებობას წარმოადგენდა, ხოლო სვეტებს შორის მსხვილი ჯაჭვი იყო გაბმული.

1896 წლის 23 ნოემბერს დიდი ზეიმით აკურთხეს აშილის მიერ დაწყებული ეკლესია. თავდაპირველად პრინც მიურატს აქ კათოლიკური ეკლესიის აგება სურდა, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ, სალომემ საყდარი მართლმადიდებლურად აკურთხებინა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს გრიგოლს. კურთხევას უამრავი ხალხი დაესწრო. პრინცმა ამ საყდრის აშენება რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III და მისი თჯახის სადგურ ბორკაში მომხდარ სარკინიგზო ავარიაში გადარჩენის გამო გადაწყვიტა. ეკლესია ინგლისელ ტექნიკოს-მშენებელ აშორსტის, რომელიც ფოთი-თბილისის რკინიგზაზე მუშაობდა, ნახაზების მიხედვით ააგეს. ტაძარი „წმინდა ალექსანდრე ნეველის“ სახელობაზე აკურთხეს. ის მომცრო ზომის, მაგრამ ლამაზად

და მდიდრულად იყო შემკული, რომლის მსგავსი ახლო-მახლო არ იდგა (28). მიუხედა-  
ვად ნაადრევად მოსული დიდი თოვლისა, რომელმაც სოფლებში მოძრაობა შეაფერხა,  
ახლო-მახლო სოფლებიდან პრინცესა მიურატის მამულში მაინც უამრავი ხალხი  
მივიდა და ახალი ეკლესის კურთხევას დაქსწრო. ნაადრევად დაწყებულმა ზამთარმა  
ადგილობრივი მოსახლეობა დიდ გაჭირვებაში ჩააგდო (29).

ჭკადუაშის ახალი, „წმინდა ალექსანდრე ნეველის“ სახელობის ეკლესია იდგა იქ,  
სადაც დღეს პრინც აშილ მიურატის საფლავის ქვა დევს, ვილიდან ორასიოდე მეტრის  
დაშორებით. ეკლესია საბჭოთა პერიოდში დაუნგრევიათ და მისი ქვები სხვადასხვა და-  
ნიშნულებით გამოუყენებიათ. 1950-იან წლებში ჯერ კიდევ შემორჩენილი ყოფილა მისი  
ნაშთები. ქორცხელის საეკლესიო ოლქის მთავარხუცესის (ბლადოჩინის)  
ზედამხედველობის ქვეშ არსებულ საყდრებში მსახურ სასულიერო პირთა შესახებ 1908  
წლის მონაცემების მიხედვით, ამ წელს ჭკადუაშის, მისი უმაღლესობა პრინცესა  
მიურატის სასახლის „კეთილმორწმუნე მთავარ ალექსანდრე ნეველის“ ეკლესიის მდვ-  
დელი იყო სამსონ ჭანტურია, ხოლო მედავითნე დიმიტრი ჩხაველია (30). (სამსონ  
ჭანტურიას ასული პარასკევა (1900-1919 წწ), რომელიც დათიკო დანელიას მეუღლე იყო,  
დაკრძალულია ჭკადუაშის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის ეზოში).

1895 წლისთვის ზუგდიდის მაზრაში შემავალ სოფლებში და მათ შორის  
ჭკადუაში ქურდობა-ყაჩაღობას მასიური ხასიათი მიუღია. ამასთან დაკავშირებით  
ვინმე „კიკლამ“ გაზეთ „კვალში“ სპეციალური წერილი გამოაქვეყნა: „განსაკუთრებით  
ამ უკანასკნელ ხანებში სრულიად აკლებულია ქურდობისაგან ზუგდიდის მაზრა.  
მაგალითად: სოფელ ჭკადუაში უშიშრად დაბრძანდებიან „აბრაგები“ და ანადგურებენ  
საწყალ გლეხობას. წარსული მაისის უკანასკნელ რიცხვებში 6 ყაჩაღი შეუგარდა  
დამით ერთ, ჭკადუაში მცხოვრებ გლეხს 6. ნაჭყებიას. წაართვეს რაც რამ საფასი  
ნივთი ებადა და ბოლოს, როცა ფულები ვერ პპოვეს, გალახეს საწყალი გლეხი და  
შემდეგ მდერით და თოვების სროლით წაბრძანდნენ. მეზობლებმა გაიგეს, მაგრამ  
შიშით კრინტიც არად დაუძრავთ. ამგვარი შემთხვევები ჩვენში უკანასკნელ ხანებში  
მეტად გახშირდა. გასულ ივნისის 20-დან ივლისის პირველ რიცხვებამდე ს. ჭკადუაში  
მოუპარავთ 6 ცხენი და სხვა მრავალი წვრილფეხობა, საბრალო გლეხობა იძულებუ-  
ლია ამ გაცხარებული მუშაობის დროს ქურდებს სდიოს და თავისი დაკარგული  
საქონელი ეძებოს. ჩვენ ძლიერ გვაკვირვებს ის გარემოება, რომ ადგილობრივი  
პოლიცია, რომლის პირდაპირი მოვალეობაა ხალხი დაიცვას და დაიფაროს  
ქურდ-ავაზაკებისაგან, რატომ აქამდის არავითარ ზომებს არ ხმარობს ამ საზიზდარი

მოვლენის მოსასპობად (31).

1896 წლისათვის ზუგდიდიდან სოფელ ჯვარამდე საკმაოდ კეთილმოწყობილი გზა გადიოდა. ეს გზა ზემო სამეგრელოს სახელით იყო ცნობილი, რომელიც ჯვარიდან სოფელ ჯგალის გავლით სალხინომდე და მარტვილამდე მიდიოდა. გზის ზუგდიდი-ლიას მონაკვეთზე 4 ბორბლიანი საზიდრებს თავისუფლად შეეძლოთ მიმოსვლა. ზემო სამეგრელოს გზის ერთი ნაწილი ჭკადუაშის ერთ-ერთ უბანზე, ბექაშდალზე (დღევანდელი სოფ. ჩხორია) გადიოდა. გარდა ამისა ჭკადუაშში ზემო სამეგრელოსკენ მიმავალი კიდევ ერთი გზაც გადიოდა. ხოლო სოფელ რიყეში, რომელიც ჭკადუაშის სასოფლო საზოგადოებაში შედიოდა, სამხედრო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში ენგურის მარცხენა ნაპირას სამხედრო სტრატეგიული პოზიციის მოწყობა იყო მოაზრებული. (32, 129).

1898 წლისთვის ჭკადუაშელი გლეხობა სიღარიბემ დიდ გაჭირვებაში ჩააგდო. გადასახადის გადაუხდელობის გამო მთავრობის მოხელეები გლეხებს იძულებით ართმევდნენ ყველაფერს, რომ მათი დავალიანება დაუფარათ. შექმნილი მდგომარეობა ეტყობოდა იმდენად მძიმე იყო, რომ იმავე წლის 18 აგვისტოს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ვინმე „ქაჯანა მეთვალყურე“ ამ ამბავს წერილით გამოეხმაურა: „ჭკადუაში მდებარეობს 17-18 ვერსის მანძილზე დაბა ზუგდიდიდან. ხალხი აქ უფრო მუშა გლეხობაა, რომელიც ამჟამად ძალიან გაღარიბებულია, რადგან უმთავრეს სახსარს იქაურებისას შეადგენდა სიმინდი და სიმინდს ფასი აქ აღარ აქვს. სიღარიბე და გაჭირვება აქაურ მკვიდრთა ამჟამად იმ ზომამდის არის მიღწეული, რომ სახელმწიფო გადასახადი ორი წელია რაც ნახევარზე მეტს არ გადაუხდია. საცოდავი სანახავი იყო დარიბი გლეხები, რომლებსაც გადასახადისათვის უყიდიდნენ ყველაფერს, რაც კი ებადა“ (33).

1894 წელს ჭკადუაშის მეზობლად მდებარე სოფელ სააფაქიო ენწერში (სააფაქიო ენწერს იმიტომ უწოდნებდნენ, რომ ის წინათ თავად აფაქიძეთა სამფლობელოს წარმოადგენდა), „პრაპორშიკმა“, თავადმა ბუჭუა მამუკას ძე აფაქიძემ სააფაქიო ენწერის მოსახლეობას თავისი ხარჯით ხის ეკლესია აუშენა. მანამდე იქ მცხოვრებლებს ეკლესია ძლიერ შორს პქონდათ (საფიქრებელია, რომ ჭკადუაშში). ამ ეკლესიისათვის ბუჭუა აფაქიძემ ხის გალავანი შემოავლებინა, შეამკო საეკლესიო ნივთებით და 30 ქცევა მიწა შესწირა. მღვდელს დაუნიშნა ჯამაგირი 400 მანეთის ოდენობით, ხოლო მედავითნეს 125 მანეთი. ბუჭუა აფაქიძის ძალისხმევით სააფაქიო ენწერში სკოლაც გაიხსნა, რომელსაც ხალხი თავიდან ძალიან გულგრილად მოეკიდა. მაგრამ

1895 წელს ბუჭუა აფაქიძემ სკოლისათვის საკუთარი შენობა ააშენებინა და 2 ქცევა მიწა გადასცა – გვატყობინებს 1902 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი წერილით ამ სკოლის მასწავლებელი არსენ ხვინგია (47).

არსენ ხვინგიას მერე ამ სკოლის მმართველი და მასწავლებელი იყო მღვდელი ქონდრატე თოლორაია, რომელსაც თბილისის სასულიერო სემინარიის 3 კლასი ჰქონდა დამთავრებული. მეორე მასწავლებელ – პოლიკარპე ანდრიას ძე ნაჭყებიას თბილისის მებაღეობის სკოლა დაუმთავრებია. იგი მღვდლის შვილი იყო. ამ სკოლას მფარველობდა და მეურვეობდა ბუჭუას ვაჟი, თავადი ბაგრატ აფაქიძე.

პოლიკარპე ნაჭყებიას მამა, ანდრია უნდა იყოს 1911 წელს ჭკადუაშის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის მღვდლის არჩევისას მონაწილე ერთ-ერთი კანდიდატი. ეს არჩევნები, როგორც ქვემოთ ვნახავთ, დიდი დავიდარაბით დასრულდა. ანდრია ნაჭყებიას კანდიდატურა, რომელსაც მრევლი ერთხმად უჭერდა ხმას, ხელადებით დაიწუნეს ჭკადუაშის მამასახლისმა და კორცხელის საეკლესიო ოლქის მთავარმა დეკანოზმა, ბლადოჩინმა სამსონ თვალთვაძემ. თუმცა მას როგორც ჩანს მღვდლად დანიშვნა მაინც მოუხერხებია.

1900 წელს ჭკადუაში პირველად დაურგავთ ჩაის ბუჩქები, სულ 300 ძირი (61, 96). საბჭოთა წყობილების დამყარებისა და კოლმეურნეობის შექმნის შემდეგ, ჩაის ბუჩქების დარგვამ მასობრივი ხასიათი მიიღო და სახნავ-სათესი სავარგულების დიდი ნაწილი დაიკავა. კომუნისტურ ეპოქაში ჭკადუაში ჩაის ფოთლები დიდი რაოდენობით იკრიფებოდა და სოფლის ცენტრში მდგარ ფაბრიკას გადასამუშავებლად მიეწოდებოდა. დღეს ჩაის დამზადება ძალზე მცირე რაოდენობით ხდება და პლანტაციების უმეტესობა ამონირებული ან მოუვლებულია.

XX საუკუნის დასაწყისში ჭკადუაში მთელი რიგი ახალი ამბები მოხდა. ჯერ კიდევ 1897 წელს პარიზში, აშილ და სალომე მიურატების უფროსმა ვაჟმა, პრინც ლუსიენმა (ლუკიანე) ფრანგი არისტოკრატის, პერცოგ როან ბუშეს ქალიშვილ მარიაზე სენტ-ფრანსუა ქსავიეს ეკლესიაში ჯვარი დაიწერა. ჯვრისწერა საკმაოდ გრანდიოზულად ჩატარდა და სიძე-პატარძალს უამრავი საჩუქარი მიართვეს ნათესავებმა და მიწვეულმა სტუმრებმა. იმავე წელს ლუსიენი ახალშერთული ცოლით საქართველოში ჩამოვიდა. აბაშის რკინიგზის სადგურზე მათ უამრავი ხალხი ოვაციით და ტაშისცემით დახვდა. სალომემ უფროს ვაჟიშვილს სალხინოს მამულში, თავის სასახლეში უზარმაზარი ქორწილი გადაუხადა (45). ბუნებრივია ლუსიენი მარიასთან ერთად ჭკადუაში თავის მამულსაც მოინახულებდა.

პრინცი ლუსიენი მიურატი ქუთაისის გუბერნიის მედვინეობის და მევენახეობის კომიტეტის წევრი იყო, რომელსაც კარლ ანდრეის ძე პაკვალენი თავმჯდომარეობდა (43, 207).

1904 წელს დაწყებულ რუსეთ-იაპონიის ომში მონაწილეობა მიიღო სალომეს მეორე ვაჟიშვილმა, პრინც ნაპოლეონ (ნაპო) მიურატმა, რომელიც მანამდე საფრანგეთის არმიაში მსახურობდა. ოფიცრობა მან კუნძულ მაგადასკარში (ინდოეთის ოკეანე) მდგარ ფრანგულ კოლონიურ ჯარში მიიღო, შემდეგ კი დედულეთს დაუბრუნდა და სამსახური რუსეთის იმპერიის არმიაში გააგრძელა. 1904 წელს ნაპოლეონი მანჯურიაში (ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთი) დაიჭრა, სადაც დაღესტნის პოლკში ესაულის ჩინით მსახურობდა. დაჭრილი პრინცი, როგორც იმდროინდელი გაზეთი „ივერია“ იტყობინებოდა, ჭკადუაშში, თავის დედის სალომეს მამულში დაბრუნდა და ჭრილობების მოშუშების შემდეგ ისევ ბრძოლის ველზე აპირებდა დაბრუნებას (34). მაგრამ, როგორც შემდგომ გაირკვა, ნაპოლეონ მიურატის ჭრილობა საშიში არ ყოფილა და იგი საომარ ფრონტზე დარჩენილა.

ჭკადუაშის წარსულის შესახებ საინტერესო ცნობებს იძლევა ამ სოფლის მკვიდრის, ცნობილი პიროვნების, გვანჯი ჩიქოვანის მოგონებები. იგი 1881 წელს (სხვა ცნობით 1879 წელს) დაიბადა ჭკადუაშში თავად ალექსი ლევანის ძე ჩიქოვანის ოჯახში. გვანჯის დედა – კქსა, სამურზაყანოელი თავადის, თადა ემხვარის ასული იყო. პატარაობისას იგი აღსაზრდელად ივანე ბჟინავას ოჯახში მიუბარებიათ.

პატარა გვანჯის თავდაპირველად კორცხელის პირველდაწყებით სკოლაში უსწავლია, მაგრამ რადგან იქ სწავლა რუსულ ენაზე წარმოებდა, იგი ვერ შეეგუა სკოლას და თავი დაანება. გვანჯის ქართული წერა-კითხვა მეზობელი მღვდლისაგან ხვინგიასგან (არსენი-პ.გ.) უწავლია.

გვანჯი ჩიქოვანის მოგონებებში განსაკუთრებით აღსანიშნავია ეპიზოდი, როდესაც ის ბიძამისს, დედის ძმას, გიდ ემხვარს იხსენებს, რომელიც მეტად წარმოსადეგი და ვაჟაცი ადამიანი ყოფილა. გიდ ემხვარს პოლიციასთან შეტაკება მოუვიდა, რისთვისაც დაიჭირეს და ციმბირში გადაასახლეს. ციმბირიდან გიდი გამოიქცა და ოთხი თვის მერე ჭკადუაშში დის სახლში მივიდა, ხოლო შემდეგ აფხაზეთში გადავიდა. 1900 წლის 10 მარტს გიდ ემხვარი დამით ჭკადუაშს ისევ ესტუმრა. გამოენისას გვანჯი ჩიქოვანის სახლს ურიადნიკ ცხომელიძის მეთაურობით კაზაკების რაზმმა ალეა შემოარტყა და ემხვარს დანებება მოსთხოვა. გიდმა მათ სროლით უპასუხა. ერთი კაზაკი მოკლა და თავს გაქცევით უშველა. მასთან ერთად მისი დისტული გვანჯიც გაიქცა.

მეორე დღეს ჭადუაშში ზუგდიდის მაზრის უფროსი მხლებლებითურთ მივიდა და მოკლული კაზაკი წაასვენეს.

1901 წლის 20 ივლისს ბიძა-დისტული ჭადუაშში კონსტანტინე დადიანის სახლში შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს. დამე გიდმა სახლში დაძინება არ მოისურვა და მსახურს უბრძანა ქვეშაგები ბაღში, დიდი წაბლის ხის ძირას გაეშალა. გვანჯი კი სახლში დარჩა. ძებნილების შესახებ ვიდაცამ პოლიციას შეატყობინა და იმავე დამეს ზუგდიდიდან ოფიცრების: გოგოლიშვილის და ბერიძის მეთაურობით ასკაციანმა პოლიციის რაზმმა კონსტანტინე დადიანის სახლს ალყა შემოარტყა. პოლიციელებმა გვანჯი გააღვიძეს, მერე სახლი და ბაღი გაჩხრიკეს. იქ მძინარე გიდ ემხვარს გოგოლიშვილმა და ბერიძემ ტყვიები დაუშინეს. თუმცა მძიმედ დაჭრილმა ემხვარმა ორივე ოფიცრის ადგილზე მოკვლა მაინც მოახერხა, მაგრამ ისიც ადგილზევე დახვრიტეს. ამასობაში გვაჯი პოლიციელებს გაექცა და მათ სროლა დაუწყო. შეტაკებისას ცხრა პოლიციელი დაიჭრა. მეორე დღეს ზუგდიდიდან მაზრის უფროსი ავიდა ჭადუაშში და მოკლული ოფიცრები წაასვენა, ხოლო გარდაცვლილი გიდ ემხვარი ჯერ იქვე დაკრძალეს, შემდეგ კი სამურზაყანოში გადაასვენეს.

გაქცეული გვანჯი ჯერ თავის სოფელში მასწავლებელი კალისტრატე ალშიბაიას სახლში იმაღლებოდა, შემდეგ მამასთან ერთად ზუგდიდის სამაზრო პოლიციაში გამოცხადდა. იგი ციმბირში გადაასახლეს, საიდანაც 1905 წელს დაბრუნდა (60, 353-419).

1905 წელს რუსეთის იმპერიაში პირველი რევოლუცია დაიწყო, რომელმაც იაპონიასთან დამარცხებული ცარიზმის რეჟიმი შეაზარზარა. შეიარაღებული დაპირისპირება და შეტაკებები ძირითადად 1907 წლამდე გაგრძელდა და მთავრობამ მისი ჩახშობა ძლივს მოახერხა. პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდნენ ახალ-ახალი პოლიტიკური მიმდინარეობები და პარტიები. საქართველოს მოსახლეობამაც რევოლუციაში აქტიური მონაწილეობა მიიღო. ჭადუაშშიც გამოჩნდნენ პირველი რევოლუციონერები, რომელთა შორის აღსანიშნავია ვასილ ნესტორის ძე ალშიბაია და მუშნი დადიანი. ჭადუაშში მათ სშირად სტუმრობდნენ ნესტორ კალანდარიშვილი (შემდგომში სახემოხვეჭილი ბოლშევიკ-რევოლუციონერი, რუსეთში, ციმბირში სამოქალაქო ომების გამოჩენილი მონაწილე, რომელიც “ციმბირული პაპას” სახელითაც არის ცნობილი), პეტრე და სპირიდონ კეიდიები (შემდგომში ეროვნულ-დემოკრატები).

ვასილ ალშიბაია დეკანოზ (მღვდელი) ნესტორ ალშიბაიას ვაჟი იყო. იგი ქუთაისში სწავლობდა და როგორც ჩანს, სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წევრი იყო. ვასო აქტიურად მონაწილეობდა ზუგდიდში ერობის (თვითმართველობის) შემოღების

საქმეში, კერძოდ 1905 წლის 28 აგვისტოს ზუგდიდში პრინცესა სალომე მიურატის ეზოში თავი მოიყარეს მაზრის თავად-აზნაურებმა და მესაკუთრე გლეხებმა ერობის შემოღების მიზნით. კრება გახსნა მაზრის თავად-აზნაურთა წინამდღოლმა გ. კ. დადიანმა. ერობის საბჭოში შევიდნენ ექვთიმე ბერიშვილი, ვასო ალშიბაია და გ. გობეჩია. ვასო ალშიბაია მონაწილეობდა 10 წევრისაგან შემდგარ კომისიაში, რომელსაც გარკვეული რეფორმების შემუშავება ევალებოდა. მანვე გაილაშქრა ცენზის შემოღების წინააღმდეგ, რაც გულისხმობდა ხმის მიცემის უფლებას მხოლოდ იმ პირებზე, რომლებსაც ერთ ქცევაზე მეტი მიწა პქონდა. ვასო ალშიბაიამ ერობის ამ კრებაზე სიტყვის, ბეჭდვის და კავშირების თავისუფლება მოითხოვა, მაგრამ გადასახადების ინსაჟეტორმა პოდობედოვმა და კრების თავმჯდომარემ გ. დადიანმა ეს მოთხოვნა უგულვებელყვეს. მანამდე, 1905 წლის 17 ივნისს ზუგდიდში ჩამოვიდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი, თავადი ჯამბაკურ-ორბელიანი, რომელსაც დახვდნენ მაზრის უფროსი კედამოვი, ზუგდიდის “დეპუტატი” დათა კარტოზია, ბოქაულები და სოფლის მამასახლისები. გუბერნატორმა გაკიცხა რევოლუციის პროპაგანდისტები, სადამოს კი პრინცესა სალომე მიურატს ჭკადუაშში ეწვია, ხოლო მეორე დღეს ქუთაისში გაბრუნდა (38).

1905 წლის 27 ნოემბერს ჭკადუაშში გლეხებმა გააუქმეს სახოგადოების სამმართველო. გადააყენეს თანამდებობის პირები, აირჩიეს ათისთავები და ასისთავები. იმავე დამეს დაწვეს სოფლის სამმართველოს შენობა და ყველა საბუთი (61, 56).

1906 წლიდან რევოლუციური მოძრაობა საქართველოში თანდათანობით შესუსტდა. იმავე წლის დასაწყისში ქუთაისში ცეცხლი გაუხსნეს და ტყვიით დაჭრეს ზუგდიდის მაზრის უფროსი, სიმკაცრითა და შეუბრალებლობით განთქმული კედამოვი. კედამოვმა მისი დაჭრა ვასო ალშიბაიას და სილიბისტრო სვანიძეს დააბრალა. სვანიძე 1906 წლის 4 მარტს ქუთაისის ოდასყურის სასაფლაოზე დახვრიტეს. მანამდე, იმავე წლის 11 თებერვალს სოფელ ჭკადუაშში მოვიდა მთავრობის კაზაკთა სადამსჯელო რაზმი პოლკოვნიკ ხოძინსკის მეთაურობით (ხოძინსკის რაზმი გენერალ ალიხანოვ-ავარასკის სადამსჯელო ჯარის, რომელმაც რევოლუციონერულად განწყობილი საქართველოს ბევრი დასახლებული პუნქტი დაარბია, ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო), სადაც: “პროვოკატორების მიერ გავრცელებული ხმებით თითქოს სოციალ-ფედერალისტთა 200 კაციანი შეიარაღებული რაზმი საბრძოლველად იყო მომზადებული და წინააღმდეგობის გაწევას აპირებდა მთავრობის ჯარებისათვის. ვითომ ამ რაზმს წინამდღოლობდა მუშნი დადიანი. ზუგდიდიდან მოსული სადამსჯელო

რაზმი პირველად დეკანოს ნებსტორ ალშიბაიას სახლს მიადგა და მისი შვილის, ვასოს ჯარის მეთაურთან გამოცხადება მოითხოვეს, რომელსაც სოციალურ-ფედერალისტთა ზუგდიდის ორგანიზაციაში მონაწილეობას აბრალებდნენ, თუ არა და სახლის გადაწვას აპირებდნენ” (36). ვასოს, რომელიც მთავრობის თვალში ცნობილ და საშიშ რევოლუციონერად ითვლებოდა, ყველა ყაბარდოში გახიზვნას ურჩევდა, მაგრამ იგი უარზე იყო და აცხადებდა: “მე ხალხის თავისუფლებისათვის ვიძრძვი, რომ გავიქცე მთელ საზოგადოებას აიკლებენ. . . სჯობს ერთი შეეწიროს ასე და არა ასი ერთხო” (60, 353-419). ვასო ალშიბაია გამოცხადდა პოლკოვნიკ ხოძინსკისთან და უთხრა: “სახლ-კარი, რომლის განადგურება გსურთ თქვენ, ეკუთვნის ჩემს მოხუც მშობლებს და ჩემს წილად ერთი ფიცარიც არ მერგება, თუ დანაშაული მიმიდღვის ვისმეს წინაშე, მე მზად ვარ პასუხი ვაგო”. მერე დიდი დავიდარაბის შემდეგ ოფიცერი მოლბა და სახლის დაწვაზე ხელი აიღო, ხოლო ალშიბაია დაატუსაღა და ზუგდიდში წასაყვანად გაამზადა (37).

შემდეგ ხოძინსკის რაზმი მუშნი დადიანის დასაპატიმრებლად მისი სახლისკენ გაემართა. ამ დროს მუშნი, გვანჯი ჩიქოვანი, ნებსტორ კალანდარიშვილი, პეტრე და სპირიდონ კეიიდიები პროკოფი ჩიქოვანის სახლში იყვნენ შეკრებილები და მოქმედების გეგმას სახავდნენ. უცებ ზემო ჭკადუაშიდან სროლისა და კივილის ხმა მოეხმაო. აღრმოჩნდა, რომ გზაში კაზაკებს ვასო ალშიბაია მოეკლათ და ცხედარს მისიანები საკაცით სახლში მიასვენებდნენ. გვანჯი ჩიქოვანი, მუშნი დადიანი, ნებსტორ კალანდარიშვილი და მმები კეიიდიები ჩრდილოეთით, სოფელ ჯვარის მიმართულებით გაიხიზნენ. გზიდან მათ ჭკადუაშში ცეცხლის დიდი ალი და კვამლი დაინახეს. მუშნიმ მაშინვე ივარაუდა, რომ სადამსჯელო რაზმა მისი სახლი დაწვა, რაც სამწუხაროდ მართალი აღმოჩნდა. ხოძინსკის ბრძანებით მისი ავლადიდება ერთიანად გადაუბუგავთ, რადგან ვერ შეიაყრეს. ხოლო ვასო ალშიბაია, მიუხედავად კაზაკთა დიდი შიშისა, ხალხმა დიდი პატივით დაასაფლავა. იქ სადაც ვასო დაასაფლავეს, შემდეგ ლეჭითანეს სასაფლაო დაარსდა (46. 60, 353-419).

ყოველივე ამის მერე სოფლის დაშინებულმა მოსახლეობამ სადამსჯელო რაზმის მეთაურს სრული მორჩილება გამოუცხადა.

ჩვენამდე მოღწეულია ჭკადუაშში, პრინცესა სალომე მიურატის მამულში ამ პერიოდში გადაღებული სურათი, სადაც გამოსახული არიან: სალომე მიურატის ოჯახის წევრები, კარის “ალექსანდრე ნეველის ეკლესიის” მღვდელი სამსონ ჭანტურია, პოლკოვნიკი ხოძინსკი თანმხლები პირებითურთ და სხვები. სურათზე ყველას, თვით

მღვდელსაც კი მაღლა შემართული თოფები უკავიათ. (ბუნებრივია, პრინცესას ოჯახი რევოლუციის მოწინააღმდეგ იყო და ასეთი “სამხედრო-საზეიმო” სურათის გადაღება ჰქადუაშში “რევოლუციური ბუნტის” სწრაფ ჩახშობას ეძღვნებოდა, ამ სურათის ქსეროასლი დღეს პრინცესა ვერონიკა მიურატის თჯახში ინახება.

რევოლუციისადმი პრინცესა სალომეს და მისის შვილების უარყოფითი დამოკიდებულების ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ სოფელ სალხინოში (მარტვილის რ/ნი), სადაც მათ ვრცელი საგენახო მეურნეობა და სასახლე პონდათ, მასობრივი გამოსვლების დროს, იქაურმა გლეხებმა სალომეს ოჯახს ბოიკოტი გამოუცხადეს და აიძულეს სახლიდან გაქცეულიყო. შემდეგ საეჭვო ვითარებაში მათი სასახლე გაიძარცვა. სალხინოელებმა ქურდები დაკავეს და მათ მოპარული ნივთები დააბრუნებინეს, თუმცა ეტყობა სალომეს გული მაინც ვერ მოიგეს და როცა მთავრობამ გამოსვლები 1907 წლისთვის ჩაახშო, მიურატების მამულში მომუშავე გლეხებს სალომე ძალიან მკაცრად მოეპყრა. ამის თაობაზე 1907 წელს გაზეთი “Закавказье” წერდა: “მიურატების ვრცელ მამულებში მოსახლე დროებით ვალდებული გლეხების მდგომარეობა მძიმეა ეკონომიკური თვალსაზრისით. გადასახადები მაღალია, მისი ამოღება ძალიან მკაცრად წარმოებს. მამულების საქმეთა მწარმოებლები ძალიან თავხედურად იქცევიან. ტყით სარგებლობაზე დაწესებულმა გადასახადმა გააღატაკა გლეხები. ურთიერთობებში მოსალოდნელი გაუჯობესება უშედეგო აღმოჩნდა. გლეხობამ მიურატებს საყოველთაო ბოიკოტი გამოუცხადა და მუშაობა შეწყვიტა, რადგან მეტი საშუალება არ იყო. ხელისუფლებამ ენერგიული ზომების მიღება გადაწყვიტა. ხალხი რეპრესიების მოლოდინშია” (39). ასეთი ვითარება იქნებოდა პრინცესას ჰქადუაშის და მის სასოფლო საზოგადოებაში შემავალი სოფელი რიყეს მამულებში. თუმცა როგორც ჩანს, აქ მიურატების წინააღმდეგ გლეხების გამოსვლას სალხინოს მსგავსი დაპირისპირება არ მიუღია. რევოლუციის პერიოდში სალომეს ოჯახი ძირითადად ჰქადუაშში ცხოვრობდა.

სოფელ რიყეში არსებულ მამულებში სალომემ ჩინური კანაფის, რამის პლანტაციები გააშენებინა. მან საფრანგეთიდან მოიწვია ფრანგი სპეციალისტები და 1901 წელს დაიწყო რამის გადამამუშავებელი ქარხნის აგება. ქარხანა ექსპლუატაციაში 1902 წელს შევიდა. ის ქვითკირის შენობა იყო, რომლის სიგრძე 40 მეტრს, ხოლო სიგანე 25 მეტრს შეადგენდა. შიგნით დადგმული იყო ათამდე მანქანა. დამზადებულ საქონელს საფრანგეთში აგზავნიდნენ (56, 18).

1911 წლის 9 ოქტომბერს ჰქადუაშში ერთი ინციდენტი მოხდა. როგორც გაზეთი

“კოლხიდა” იტყობინება იმ დღეს: “ჭკადუაშში უნდა მომხდარიყო პენჭისყრა ახალდაბის მთავარანგელოზის პირველი შტატის სამღვდელო კანდიდატის ასარჩევად, მაგრამ ჭკადუაშის ერთი ბობოლას მეოხებით ეს პენჭისყრა ჩაშალეს. ჭკადუაშის მცხოვრებლებზე ძალდატანება განხორციელდა. წირვის შემდეგ ადგილობრივმა ბლადოჩინმა (კორცხელის საეკლესიო ოლქის ზედამხედველი) სამსონ თვალთვაძემ გამოუცხადა ჭკადუაშის პირველი შტატის მრევლს, რომ პენჭისყრა კანონისამებრ უნდა მოხდესო ეკლესიის გალავნის შიგნით. ამ გამოცხადების შემდეგ მთელი პირველი შტატის მრევლი მოელოდა კენჭისყრას ეკლესიის გალავნის შიგნით, მაგრამ როდესაც სადილმირომეული და ადესას მაჭრით შეზარხორშებული კრების მომწყობი (ბლადოჩინი) ინახულა მამასახლისმა, უმაღვე გამოსცა მეორე ბრძანება, რომ პენჭისყრა საგლეხო სასამართლოში უნდა მოხდესო. ბლადოჩინ-მამასახლისის ამ ნებას ჭკადუაშელებმა სრული უთანხმოება გამოუცხადეს, მაგრამ მამასახლისმა მათრახით და სტრაუნიკებით აიძულა მრევლი ეკლესიის გალავნიდან გადასულიყო (ჭკადუაშის მამასახლისი “ყაზახ-რუსებით” და სტრაუნიკებით აარჩევინეს ჭკადუაშელებს ერთი გავლენიანი პირის თხოვნით. ამ მამასახლისმა რამდენიმე წლის წინათ უდანაშაულოდ დაატყვევა აწ განსვენებული თორდია).

გადაწყვეტილება ბლადოჩინ-მამასახლისის მიერ შეცვლილი იქნა იმიტომ, რომ საგლეხო სასამართლო ახლოს არის ერთ გავლენიანი პირის ბინასთან და მალ-მალე მიუტანდნენ მოენები ამბავს მას, თუ რას იტყოდნენ ჭკადუაშელები მის სასურველ კანდიდატზე. ხოლო მეორე მიზანი კი იყო: მამასახლისს მეტი უფლება და გავლენა ექნებოდა ხალხზე და საწინააღმდეგო აზრის გამოთქმისათვის იქვე ციხეში ჩასვამდა რომელიმე გლეხს, რაც განხორციელდა კიდეც რამდენიმე პირის მიმართ. ამრიგად მოხდა მღვდლის არჩევა. როცა ხალხმა მოითხოვა ყუთები და კენჭისყრა, მამასახლისმა უარი განაცხადა, ვითომ იმ მიზეზით, რომ მეორე შტატიც თხოულობდა კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებას. საზოგადოებამ მოითხოვა ერთი სამღვდელო კანდიდატის, გვარად ნაჯყებიას არჩევა, მაგრამ მამასახლისმა არათუ უარი გამოუცხადა საზოგადოებას, არამედ ბუნტი უწოდა და სტრაუნიკები შემოუსია პირველი შტატის მრევლს. მამასახლისმა მიაღწია მიზანს, ხოლო ბუნტი დღესაც ყველა ჭკადუაშელის გონებაში შიშს იწვევს. მით უმეტეს, როცა ჭკადუაშელებს ჩინებული პატივი სცეს, როგორც “ბუნტოვშიკებს”. ბუნტის გაგონებაზე საზოგადოება შიშს ზარმა მოიცვა. 9 ოქტომბერი საშინელი უსამართლობის დღედ უნდა ჩაითვალოს ჭკადუაშელებისათვის – წერს ვინმე “დროებითი ჭკადუაშელი”. (40) როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჭკადუაშის

ახალდაბის მთავარანგელოზის სახელობის ეპლესია არის ჭკადუაშის სასოფლო ცენტრიდან ასიოდე მეტრის დაშორებით, სასაფლაოზე მდგარი ეპლესია, რომლის აგება დიდი ნიკო დადიანის ბრძანებით 1824 წელს დაიწყეს. ჩვენთვის უცნობია თუ ვინ იყო ის ადგილობრივი “გავლენიანი პირი”, რომლის ნება-ურვილზე იყო დამოკიდებული მამასახლისის თუ მდგდლის დანიშვნა. ხოლო რაც შეეხება სოფლის მამასახლისებს, ცნობილია ორი მათგანის ვინაობა: ჭკადუაშს XIX საუკუნის 80-იან წლებში განაგებდა ბაზალა ანთია (41), ხოლო XIX საუკუნის 90-იან წლებში მამასახლისი იყო ბასა ჯიქია (24). ხოლო სამამასახლისო “კანტორა” იდგა იქ, სადაც ბესარიონ პაპავას სახლკარია. უფრო ადრე, როგორც ეს გადმოცემით ახსოვს გრიშა (ქოჩო) დადიანს (დაბ. 1923წ.) “სასამართლო კანტორა კორცხელში იყო. იქ დაუბარებიათ ჭკადუაშელი გლეხი ალე ალშიბაია, რომელიც რაღაც უკანონო საქმეში იყო ეჭვიტანილი. მას გზაში დარაჯი მოუკლავს და შემდეგ 7 წელი იმალებოდა. კორცხელში სამამასახლისოს არსებობა მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ადრე ჭკადუაში ადმინისტრაციულად კორცხელთან იყო დაკავშირებული, ისევე როგორც სოფელი ზედა ეწერი (57).

1915 წელს მთელი დასავლეთ საქართველო შიმშილობამ მოიცვა. დამშეული ზუგდიდის მაზრისათვის მთავრობამ 900 ფუთი სიმინდი და გარკვეული ფულადი დახმარება გამოყო. სოფლები კატეგორიებად დაიყო და ჭკადუაში კორცხელთან, უკანასკნელთან და წალენჯიხასთან ერთად I კატეგორიაში შეიყვანეს, როგორც ყველაზე მეტად დამშეული სოფელი. აქაურებს 80-80 ფუთი სიმინდი მიაწოდეს (41).

1916 წელს ხელისუფლებამ სახელმწიფო პირველდაწყებითი სკოლების გახსნა დაიწყო. შეიმუშავეს სია, თუ რომელ სოფლებში უნდა გახსნილიყო სკოლები, მაგრამ უპირატესობა შეძლებულ სოფლებს მიენიჭა. ზუგდიდის მაზრაში შემავალი კორცხელის, ჭკადუაშის, ლიის, ფახულანის, ჯვარის, ჯგალის სასოფლო საზოგადოებები, რომლებიც ღარიბ სოფლებს განეკუთვნებოდნენ, სახელმწიფო პირველდაწყებითი სკოლების გარეშე დარჩნენ (42).

ჭკადუაშში პირველი აფთიაქის გახსნა საგაზეთო კრიტიკის საგანი გახდა. 1916 წელს გაზეთ “საქართველოს” ფურცლებზე კორესაონდენტმა ფსევდონიმით “ავი” მამხილებელი წერილი გამოაქვეყნა: “ზუგდიდის მაზრის სოფელ ჭკადუაშის აფთიაქის პატრონი და გამგე სამსონ ჯიქია ნებადაურთველად ექიმობდა და წამლების რეცეპტებსაც წერდა. მან მაზრის ექიმისაგან მიიღო გაფრთხილება და გაზეთ “საქართველოს” ფურცლებზეც ამხილეს. მაგრამ ს. ჯიქიამ თავის ხელობაზე ხელი არ

აიღო. იგი ამით საკმაოდ დიდ ფულს შოულობდა, რადგან ავადმყოფები არ აკლდა. გარდა ამისა, სამსონი მთელი დღეების განმავლობაში ფარმაციის საქმეში ჩაუხედავ უბრალო პირებს უტოვებდა აფთიაქს და ისინიც გასცემდნენ სათანადო ანაზღაურების შემდეგ წამალს. ს. ჯიქიას სამოქმედო რაიონი შეიცავდა 4 საზოგადოებას: ჭკადუაში, ლია, ჯვარი და კორცხელი. მისი ავადმყოფებია: დ. ხაბურზანია (სოფ. რიყე), ს. ალშიბაია (სოფ. ტყაია), ფ. თორდია (სოფ. ზედაუწერი), გ. ცაგურია (სოფ. ჭკადუაში)".

1919 წელს, ისევე როგორც მთელ საქართველოში ჭკადუაშშიც ჩატარდა ადგილობრივი ერობის (თვითმართველობის) არჩევნები. ამ დროისათვის სოფლის კომისარი იყო დ. მ. თორდია. იმავე წლის 24 აგვისტოს, ზუგდიდის სამაზრო ერობის წარმომადგენლის, საადგილმამულო განყოფილების გამგის პ. ვეჯუას, ამავე განყოფილების ინსტრუქტორის ჟ. შავგულიძის, ჯვარის მიმღები კომისიის თავმჯდომარის ა. შელიას, მიწისმზომელი ა. მოსეშვილის, კომისარ დ. თორდიას და გ. ანთიას მონაწილეობით შექმნილმა საგანგებო კომისიამ ჭკადუაშში კონსფიკაცია უყო პრინცესა ანტუანეტა (ბებე) მიურატის უძრავ-მოძრავ ქონებას. კომისიამ დაათვალიერა სათითაოდ ყველა შენობა-ნაგებობა თავისი ავეჯეულობით და ნივთებით. აღწერა მთავარი სახლი თავისი 12 ოთახით და სხვა დანარჩენი 23 შენობა (საცხოვრებელი სახლი, ფურნე, თავლა, მუშების სადგომი, სასიმინდეები, ფარები, თხა-ცხვრის სადგომი, ხულა, სამჭედლო, მარანი, ღვინის სარდაფი, კასრების სახელოსნო და სხვა ნაგებობები). აღწერილი ნივთების უმრავლესობა მოსახმარად უკვე უვარგისი აღმოჩნდა. ძვირფასი ავეჯეულობა და პირადი მოხმარების საგნები ვილაში არ იყო. აღწერის შედეგები პრინცესა მიურატს დეპეშით ეცნობა (69, 326-331).

1921 წელს ბოლშევიკური წყობის დამყარების დროს ვილაში დარჩენილი ქონება განიავდა. 1922 წლისთვის სასახლეში მოთავსებული იყო საექიმო და საფერშლო განყოფილება, ერთ სახლში კი სკოლა. როცა ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დამაარსებელი აკაკი ჭანტურია ჭკადუაშში ჩავიდა, მას იქ უთხრეს, რომ გადარჩენილი ქონებიდან არაფერი იყო დაკარგული. მაგრამ მანამდე ზუგდიდის აგრონომიული განყოფილების გამგეს წაედო ფრანგული წიგნებით სავსე ორი დიდი ყუთი, სხვადასხვა ინსტრუმენტები და გაეტეხა სიმინდის საღერღი მანქანა. ამ გამგეს სამჯერ წაუდია ურმებით დიდი რაოდენობით სხვადასხვა ქონება.

1922 წლისათვის ჭკადუაშის პრინცესა მიურატის კარის ეკლესია მოქმედი იყო, რომელსაც მღვდელი სამსონ ჭანტურია ემსახურებოდა. იგი აკაკი ჭანტურიას ძმა იყო. თვითონ ვილის გარშემო რამდენიმე ცაცხვის ხე იდგა, ხოლო ვენახები გაჩანაგებული

ყოფილა. სახლის გარშემო მიურატების ყოფილი მამულის ფართობი 110 ქვევას შეადგენდა (69, 57-58).

საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ისევე როგორც სხვა დასახლებულ პუნქტებში, 1921 წლის 13 მარტს ჭკადუაშში შეიქმნა სათემო რევოლუციური კომიტეტი (რევკომი). ამ რევკომს სათავეში ედგა ჭკადუაშელი ლეგან ნაჭყებია. იგი 1905-1907 წლების რევოლუციის მონაწილე იყო, ხოლო 1917 წლიდან ბოლშევიკური პარტიის წევრი. ლევანის უფროსი ვაჟი ერეკლე I მსოფლიო ომში იღებდა მონაწილეობას. იქიდან დაბრუნებული 1918 წელს ისიც ბოლშევიკი გახდა. ლევანის მეორე ვაჟი ნიკიფორე ამ პარტიაში 1921 წელს შევიდა და მომდევნო წელს საბჭოთა ხელისფლების წინააღმდეგ აჯანყებულ ფშავ-ხევსურებთან ბრძოლაში დაიღუპა. მამასა და ძმებს თანაუგრძნობდა ლევანის ქალიშვილი მანანა და რძალი მარო ჯალადონია (70).

1924 წელს მთელ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყება დაიწყო. მოვლენებს არც ზუგდიდის მაზრა ჩამორჩა. ზუგდიდსა და სოფლებში ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლები გაჩადდა. 29 აგვისტოს სოფ. ლიაში 40 ამბოხებული (აქედან მხოლოდ 20 იყო შეიარაღებული) ტარასი ბერიშვილის მეთაურობით სოფლის კანცელარიაში შეიჭრა, განაიარადეს და დააკავეს ადგილობრივი კომუნისტები. ლიელი აჯანყებულების დასახმარებლად ჭკადუაშიდან ჭანტურიას მეთაურობით (ზუგდიდის მილიციის ყოფილი უფროსი) 40 შეიარაღებული მებრძოლი მივიდა. მათ მანამდე ჭკადუაშში განაიარადეს და დააპატიმრეს ადგილობრივი ბოლშევიკები. მათვე შეუერთდა სოფ. კორცხელის 10 კაციანი რაზმი ანდრია წულუკიძის თაოსნობით. ამბოხებულებმა ლიაში ორი დღე დაყვეს. კომუნისტების სადამსჯელო რაზმების შემოსვლის შემდეგ აჯანყებულებმა ბრძოლით დატოვეს თავიანთი პოზიციები და სოფ. ჯვარის მიმართულებით უკან დაიხიეს, სადაც ცხარე შეტაკება მოხდა. შემდეგ აჯანყებულებმა თავი სვანეთის მთებს შეაფარეს (36-37). 1924 წელს აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით დახვრიტეს სოფ. ტყაიაში მცხოვრები ჭოჭუ ჩიქოვანი, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო.

კოლექტივიზაციის პერიოდში, ისევე როგორც ყველგან ჭკადუაშის ტყაია-ბეჭაშდალის სასოფლო თემშიც კოლექტივები დაარსდა. 1928 წლის 26 აპრილის მონაცემებით ზუგდიდის მაზრაში 21 კოლექტიური მეურნეობა იყო. მათ შორის ტყაია-ბეჭაშდალის თემში: როზა ლუქსემბურგის, ფილიპე მახარაძის, ვახო ჯაფარიძის

და კირილე კაპაბაძის სახელობის კოლექტივები. რადგან ამ სიაში ჭკადუაში, ზედაეწერი და ტყაია არ არის მოხსენიებული, ჩანს, რომ ეს სოფლები ერთ, ტყაია-ბეჟაშლალის თემში ერთიანდებოდნენ და თავისი კოლექტიური მეურნეობა პქონდათ. თუმცა რომელ სოფელს ვისი სახელობის კოლექტიური მეურნეობა გააჩნდა, ამ სის მიხედვით ვერ დავადგინეთ.

იმდროინდელი კოლექტიური მეურნეობის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ს. ჯალაძანია, რომელმაც 1932 წლის 18 ივლისს ბეჟაშლალის (ჩხორის) კოლექტივზე გაზ. “კომუნისტში” წერილი გამოქვეყნა: “სოფ. ბეჟასდალში არსებობს საქართველოს ცაკის (ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი) სახელობის კოლმეურნეობა. ამ კოლმეურნეობაში შრომა მოწესრიგებულია. შრომისა და საწევრო წიგნაკები მიღებულია და თავის დროზე აქვთ კოლმეურნეებს დარიგებული. კოლმეურნეობამ დროზე დაამუშავა საკაფშირო კომპარტიის (ბ) ცკ 4 თებერვლის, 25 მარტის, 6 მაისის და 10 მაისის დადგენილებანი და გადადგა ნაბიჯი საკოლმეურნეო ვაჭრობის გასაშლელად. კოლმეურნეობას თავისი ხარჯით რაიონში გახსნილი აქვს ერთი საკოლმეურნეო დუქანი. საწარმოო თათბირები სისტემატიურად იწვევა. სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა ფართოდა გაშლილი. კოლმეურნეობაში მოწყობილია 4 საწარმოო ბრიგადა. ბრიგადის ხელმძღვანელები არიან სევერი არდია, კოდი სოსელია, მელიტონ სოსელია, იაშა ხორავა. მათი ენერგიული შრომის შედეგად კოლმეურნეობამ ყველა კულტურებზე მოცემული გეგმები გადაჭარბებით შეასრულა. კოლმეურნეობამ უკვე დაამთავრა თამბაქოს პირველი მარგვლა და გადავიდა მეორე მარგვლაზე. ჩაის პლანტაციები სათანადოდ მოვლილია და თავის დროზე გათოხნილი. კოლმეურნეები აღტაცებით შეეგებნენ ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სესხის გამოშვებას. თითოეულმა კოლმეურნემ მოაწერა ხელი სესხზე. ყველაფერი ეს მოხდა კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამს. გრიგოლ ალანიას სწორი ხელმძღვანელობით. კოლმეურნეობას დიდ დახმარებას უწევს აგრო-ტექნიკოსი იულონ სოსელია.

**ჭკადუაშის სასოფლო საზოგადოებაში  
მცხოვრებთა სტატისტიკური მონაცემები**

1886 წლის აღწერის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ჭკადუაშის სასოფლო საზოგადოებაში, რომელიც საკუთრივ ჭკადუაშის გარდა რიყესაც მოიცავდა, ცხოვრობდა 396 კომლი გლეხი, მათ შორის მამრობითი სქესის – 1359 სული, ხოლო მდედრობითი სქესის – 1288 სული, სულ – 2674. თავად-აზნაურობისა და სასულიერო პირთა სტატისტიკური მონაცემები შეადგენდა შემდეგს: თავადი-მამრობითი სქესის – 20 სული, მდედრობითი – 15 სული, აზნაური-მამრობითი სქესის – 79, მდედრობითი – 98. სასულიერო პირები-მამრობითი – 16, მდედრობითი – 8. ყველა მართლმადიდებელი სარწმუნოების.

საკუთრივ სოფელ ჭკადუაში იყო 236 კომლი გლეხი, მათ შორის მამრობითი სქესის – 789 სული, მდედრობითი – 730, სულ – 1 519 სული. თავადი – მამრობითი სქესის – 12 სული, მდედრობითი – 10, აზნაური მამრობითი სქესის – 58 სული, მდედრობითი – 58. სასულიერო პირები: მამრობითი – 8 სული, მდედრობითი – 6. ყველა მართლმადიდებელი.

სოფელ რიყეში ცხოვრობდა 160 კომლი გლეხი, მათ შორის: მამრობითი სქესის – 570 სული, მდედრობითი – 558, სულ – 1128 სული. თავადი მამრობითი სქესის – 8 სული, მდედრობითი – 5 სული. აზნაური მამრობითი სქესის – 21 სული, მდედრობითი – 26 სული. სასულიერო პირები: მამრობითი – 8სული, მდედრობითი – 2.

სასოფლო საზოგადოებაში დროებით სარგებლობის მიწაზე ირიცხებოდა სულ 198 კომლი, აქედან მამრობითი სქესის – 647 სული, მდედრობითი – 639 სული. საკუთრივ ჭკადუაში დროებით სარგებლობის მიწაზე ცხოვრობდა 160 კომლი, მამრობითი სქესის – 510 და მდედრობითი – 509 სული. რიყეში – 38 კომლი, მამრობითი სქესის – 137 და მდედრობითი – 130.

სასოფლო საზოგადოებაში მიწის მესაკუთრე იყო სულ 61 კომლი, მათ შორის მამრობითი სქესის – 267 და მდედრობითი 255 სული. აქედან ჭკადუაში იყო 36 კომლი, მამრობითი სქესის – 162 და მდედრობითი -122 სული. რიყეში 25 კომლი, მამრობითი – 105 და მდედრობითი – 133 სული.

ხიზნების ანუ სხვა ადგილებიდან მოსულ და აქ დამკვიდრებულების სტატისტიკური მაჩვენებელი შეადგენდა სულ – 97 კომლს, მათ შორის მამრობითი სქესის – 311 და მდედრობითი – 292 სული. აქედან საკუთრივ ჭკადუაში იყო 10 კომლი,

25 მამრობითი და 25 მდედრობითი სქესის წარმომადგენლით. რიყეში იყო 87 კომლი. მათ შორის მამრობითი სქესის – 286 და მდედრობითი 267 სულით (44).

1905 წლისთვის ჭკადუაშის სასოფლო საზოგადოებაში 496 კომლი ცხოვრობდა. მათ შორის საკუთრივ ჭკადუაშში 202 კომლი, აქედან მამრობითი სქესის – 625 და მდედრობითი – 579 სული, სულ – 1204. რიყეში – 294 კომლი, მამრობითი – 906 და მდედრობითი – 801 სული. სულ 1707 სული (57). როგორც ვხედავთ 1886 წელთან შედარებით ჭკადუაშის მოსახლეობის რაოდენობა შემცირებულია, ხოლო რიყეში გაზრდილი, რაც მცირე მიწიანობით და ეწერი ნიადაგით იყო გამოწვეული. ენგურისპირა რიყეში კი შავ-მიწა, ქვიშიანი ნიადაგი და მიწის საკმაოდ დიდი ფართობები იყო.

1914 წლისათვის ჭკადუაშის მცხოვრებთა რაოდენობა 2041 სულს აღწევდა (43). უცნობია ეს რიცხვი სასოფლო საზოგადოების მცხოვრებთა საერთო რაოდენობას მოიცავდა თუ მარტო საკუთრივ ჭკადუაშს. საფიქრებულია, რომ ეს რიცხვი მოლიანად, ჭკადუაშ-რიყეს მცხოვრებთა რაოდენობას ასახავდა, რადგან 1905 წლიდან 1914 წლამდე, 9 წლის განმავლობაში საკუთრივ ჭკადუაშში მოსახლეობის 737 სულით მატება ნაკლებად სავარაუდოა.

1923 წლისათვის ჭკადუაშის თემში მხოლოდ ერთი სოფელი, საკუთრივ ჭკადუაში შედიოდა. მეურნეობათა რაოდენობა 274 ერთეულს შეადგენდა. სოფელში 273 კომლი სახლობდა. მამაკაცთა რაოდენობა 664 სულს, ხოლო ქალთა რაოდენობა 633 სულს შეადგენდა. სულ – 1297. სამუშაო ასაკის მამაკაცთა რაოდენობა 334 სულს აღწევდა, ხოლო ქალების – 323.

ჭკადუაშიდან გამოყოფილი ბეჟაშდალი ტყაია-ბეჟაშხალის თემში შედიოდა. ამ სასოფლო თემში მეურნეობათა რიცხვი 302 ერთეული იყო. კომლთა რაოდენობა 298 შეადგენდა. მამაკაცთა რაოდენობა – 712, ქალთა რაოდენობა – 657 სულს აღწევდა, სულ – 1369. სოფელი რიყე 1255 მაცხოვრებელს ითვლიდა. (59, 42).

## დანართი 1.

### ჭკადუაშის მთავარანგელოზის ექლესია

ჭკადუაშის სასოფლო ცენტრიდან 100 მეტრის დაშორებით, გორაკზე დგას დარბაზული ტიპის ეკლესია და სამრეკლო. ეს ეკლესია მდინარე ჩხოუშიის მარცხენა მხარესაა და მისგან 300-ოდე მეტრით არის დაშორებული. საყდრის ძირითად საშენ მასალად მდინარის ქვები და კირის დუღაბია გამოყენებული. კედლებში იშვიათად ჩატანებულია უხეშად დამუშავებული ქვები და ადგილზე დამზადებული აგური. ეკლესია გარედან საკმაოდ კარგად დამუშავებული ქვის კვადრებით არის შემოსილი, რომელთა დიდი ნაწილი კედლებიდან ჩამოცვენილია. მისი საძირკველი მასიურ, თლილ ქვებზეა ამოყვანილი სამშენებლო წარწერები ან ჩუქურთმები არ აქვს, მხოლოდ აღმოსავლეთ ფასადზეა ერთადერთი ორნამენტი შემორჩენილი.

ეკლესია შიგნით მობათქაშებული და ფრესკებით შემკული იყო, რომლის მცირე ფრაგმენტი დასავლეთის კართან არის შემორჩენილი. საკურთხევები ჩრდილოეთის მხარესაა გაკეთებული, რომლის კუთხეებში ორი სანაწილე და ორი სახატე ნიშია დატანებული. საყდარს სამი მხრიდან (სამხრეთიდან, დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან) აქვს შესასვლელი კარები, ხოლო სარკმლებიდან 4 – ჩრდილოეთის მხარეს, საკურთხევლის ზემოთ, ერთი დასავლეთის კედელზე და ერთი სამხრეთის კედელზე, კარს ზემოთ არის დატანებული. ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში და სამხრეთის კარის ზემოთ მცირე სამალავებია გაკეთებული.

ეკლესიების ზომები შეადგენს: სიგრძე – 11,8 მეტრი, სიგანე – 7 მეტრი, სიმაღლე – 9 მეტრი. დღეისათვის საყდრის სახურავი ჩამოქცეულია და კედლები მხვიარა მცენარეებითა დაფარული.

ეკლესიის გვერდით დგას თაღოვან გასასვლელიანი ორ სართულიანი სამრეკლო, რომელიც საყდრის თანადროულად არის აშენებული. გამოყენებულია იგივე სამშენებლო მასალა. სამრეკლოს პირველ სართულს თაღებიანი გასასვლელის გარდა, ქვით ლამაზად გაკეთებული ჭერი ამშვენებს.

ზედა სართულზე 6 დიდი სარკმელია დატანებული, მაგრამ ჭერი ჩამონგრეულია და კედლებიც ნაწილობრივ დაზიანებულია. ამ სამრეკლოს ზომებია: სიგრძე – 6.50 მეტრი, სიგანე – 6.40 მეტრი, სიმაღლე დაახლოებით 9 მეტრი.

ეკლესია და სამრეკლო შემოზღუდული იყო რიყის ქვისგან გაკეთებული გალავნით, რომელიც სიგრძეში 150 მეტრს შეადგენდა. დღეისათვის ამ გალავნის საძირკველია შემორჩენილი.

სიძველეთა ცნობილი დამცველის, ზუგდიდის მუზეუმის დამმარსებლისა და პირველი დირექტორის აკაკი ჭანტურიას არქივში დაცულია მის მიერ გადაწერილი ახალდაბის მთავარანგელოზის ეკლესის ხატის წარწერა. მთავარანგელოზ მიქაელის ხატის მხედრული წარწერიდან ვგებულობთ, რომ ხატის მომგებელი (ანუ დამკვეთი) და შემამკობელი ამავე ეკლესის მდვრელი ზოსიმე ალშიბაია ყოფილა. წარწერის თარიღია 1838 წლის 1 სექტემბერი:

“ქ. მიხაილ მთავარი ანგელოსთაო, მინდობილმან და მსასოებელმან სახისა შენისამან ამ ტაძრისავე შენისა ახალდაბის დეკანოსმან ზოსიმე მდვრელმან ალშიბოვმან, საკუთრითა საფასითა, ჩემითა მოვაჭედინე და შევამკევ ხატი ესე შენი, შინაგან ძელითა ჭეშმარიტითა და გარემ ოქროითა და პატიოსნითა თვალმარგალიტითა, საოხად აღმზრდელისა ჩემისა ნიკოლაოზ პირველის დიდიანოვისა. სამებაო ღმერთო მთავარ შეიწირე ხატი ესე ვითა მწვლილი დედაკაცისა მის სულთქმა მეზვერისა და ცრემლი მხერვალენი მართას და მარიამისნი და ჩვენ ორთა ერთა ერთ ხორცთა ზოსიმეს და მეუღლეს ჩემსა მარტვირის დეკანოზის ასულსა აღათის მოგვანიჭე ბრალთა შენდობა ფ-ა პეტრეს და მ-ხე სინანულსა მასსა ჩვენდაცა მოხედვა ყავ თდეს მოხვიდე სუფევითა შენითა გასჯად ცხოველთა და მკვდართა ჩყლა სა წელსა სეკნდებრის ა”. (მასალის მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით აკაკი ჭანტურიას შვილს, ბატონ არიანე ჭანტურიას).

1923 წელს, ახალდაბის მიქაელ მთავარანგელოზის ხატი აკაკი ჭანტურიას ჭკადუაშიდან ზუგდიდის მუზეუმში გადაუსვენებია და ამით კომუნისტების მიერ შესაძლო ხელყოფას გადაარჩინა. 1930 წლის 6 მარტის საგანგებო ბრძანებით ხატი თბილისში, საქართველოს მუზეუმში გადაიტანეს, რადგან განზრახული იყო სხვა ხატებთან და საეკლესიო ნივთებთან ერთად 3 თვით გერმანიაში გამოფენაზე წაღება. გაფორმდა შესაბამისი ოქმი, სადაც მიღება-ჩაბარების გარდა, აღწერილია თვითონ ხატიც: “მთავარანგელოზ მიქაელის ხატი. 1838 წლის თარიღით. სამ. მუხ. საინვენტ. სიით №189. ზომით 28X23 სმ. ვერცხლით ნაჭედი, შემკობილი 30 თვლით და ... ფეხებთან მავრთულზე აცმული 23 ცალი წვრილი მარგალიტი” (69, 373).

ხატი სავარაუდოდ ცნობილი ოქრომჭედლის და ხატმწერის პეპუ მეუნარგიას მიერ უნდა იყოს შექმნილი. მისი საქართველოს ხელოვნების მუზეუმში პეპუ მეუნარგიას

ხატებს შორის ჭკადუაშის ახალდაბის მთავარანგელოზის ხატიც არის გამოფენილი.

## ჭკადუაშის მარიამ ლეონიშვილის ეკლესია

მდინარე ჩხოუშიის მარჯვენა მხარეს, საგაბისონიოს უბანში, მდინარიდან 300-ოდე მეტრის დაშორებით მაღალ გორაკზე მცირე ზომის ეკლესიის ნანგრევები იყო შემორჩენილი, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები მეგრულად “ჯგირმარიას ნაოხვამუს” ან “ჯგირმარიონს” უწოდებენ. “ჯგირმარია” იგივე წმინდა მარიამია და ეს ეკლესია მისი სახელობის იყო.

2003 წელს ადგილის დათვალიერების დროს ამ ეკლესიის კედლის ნანგრევები და ცალკეული ქვები მინდორში იყო მიმოფანტული, რომელიც საყდარს გარს ეკვრის. შემორჩენილი იყო გალავნის საფუძველი. დღეს ამ ადგილას განზრახულია ახალი ეკლესიის აშენება, ხოლო ძველი სამლოცველოს ქვების ნაწილი გალავნის აღდგენილ კედლებშია დატანებული. ნანგრევების დათვალიერების დროს აღმოვაჩინეთ კედლის საკმაოდ დიდი ფრაგმენტი, რომელსაც გვიმრა და ეკალ-ბარდი ფარავდა. კედლის ეს ნაწილი გარედან მოპირკეთებული იყო თეთრი ქვის დამუშავებული ფილებით. როგორც ჩანს საყდარი გარედან სწორედ ასეთი ქვის ფილებით იყო მოპირკეთებული. ძირითადად სამშენებლო მასალად მდინარის ქვები, კირის დუღაბი და საკმაო რაოდენობით ადგილობრივი ქვიშა-ქვის ქვები გამოუყენებიათ.

ეკლესია მცირე ზომის დარბაზული ტიპის სამლოცველოს წარმოადგენდა, რომელსაც საკურთხეველი აღმოსავლეთის მხარეს ჰქონდა. დასავლეთის მხარეს საყდარს მინაშენი ეკვროდა, საიდანაც იყო შესასვლელი კარები. ნანგრევების გაწმენდის დროს წარწერები არ აღმოჩენილა, მხოლოდ ერთადერთ, დამუშავებულ თეთრ ქვაზე ლამაზად შესრულებული ჩუქურთმა აღმოჩნდა.

ჭკადუაშის წმინდა მარიამის ეკლესიის შესახებ წერილობით წყაროებში არავითარი ცნობა არ მოიპოვება. უცნობია ვის მიერ და როდის არის აშენებული. გასული საუკუნის 80-იან წლებში ეს სამლოცველო მკვლევარ-ისტორიკოსებს პარმენ ზაქარაიას და გონელი არახამიას დაუთვალიერებიათ. მათი შეფასებით იგი გვიან შუა საუკუნეებში უნდა იყოს აგებული (ცნობა მოგვაწოდა გონელი არახამიამ).

როგორც დრმად მოხუცმა ადგილობრივმა მაცხოვრებელმა (თ. ნაჭყებია, 80 წელს გადაცილებული) გვითხრა, მისი მამის გადმოცემითაც ეს სამლოცველო მაშინაც დიდი ხნის დანგრეული ყოფილა, თუმცა კედლები შემორჩენილი იყო. საბოლოოდ იგი საბჭოთა წყობილების დროს ბოლომდე დაუნგრევიათ.

ეკლესიის ზომები შეადგენდა: სიგრძე – 8 მეტრი, სიგანე – 6 მეტრი, მინაშენის სიგრძე – 3.30 მეტრი, სიგანე – 4 მეტრი. კედლების სისქე 1 მეტრს აღწევდა. სამლოცველოსთვის გარე შემოვლებული გალავნის სიგრძე 110 მეტრია.

სავარაუდოდ ეს ეკლესია საგვარეულოს ან უბნის საყდარს წარმოადგენდა.

### წმინდა გიორგის სალოცავი

მდინარე ჩხოუშის მარჯვენა მხარეს, დღევანდელ სოფელ ჩხორიაში, სათორდიოს უბანში შემორჩენილია სალოცავის ნაშთი, რომელიც მდინარიდან ნახევარი კილომეტრის დაშორებით მაღალ გორაკზე მდებარეობს. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს წმინდა გიორგის ნაეკლესიარს ეძახის. (მეგრულად წმინდა გიორგიშ ნაოხვამური). ეს სალოცავი დღეს მთლიანად დანგრეულია. ზომების მიხედვით იგი ძალიან პატარაა, სიგრძე – 3.5 მეტრი, სიგანე – 3 მეტრი, რაც გვაფიქრებინებს, რომ აქ ეკლესია კი არა, უფრო სალოცავი ნიში იდგა. შემორჩენილია ჩრდილოეთის მხარის საძირკველისა და კედლის მცირე ნაშთი, საიდანაც ჩანს, რომ სამშენებლო მასალად რიყის ქვები და კირის დუღაბი გამოუყენებიათ, ხოლო გარედან უხეშად დამუშავებული ქვებით შეუმოსავთ. ოვითონ მშენებლობაც უწესრიგოდ არის შესრულებული. სალოცავს წარწერები ან ჩუქურთმები არ გააჩნია და არც გალავნის ნაშთები ჩანს.

ჩვენი აზრით ეს სალოცავი გვიან შეუა საუკუნეებში, ან სულაც XIX საუკუნის I ნახევარშია აშენებული, რასაც კირის ფენა გვაფიქრებინებს. იგი ალბათ საგვარეულოს ან უბნის სამლოცველოს წარმოადგენდა.

სალოცავიდან ერთი კილომეტრის დაშორებით აღმოსავლეთ მხარეს მდინარის გაღმა პრინც მიურატის ვილა დგას. ეტყობა ამ სალოცავმა ფუნქცია მაშინ დაკარგა, როცა სალომე დადიან-მიურატმა 1896 წელს თავის მამულში, სახლთან ახლოს აკურთხებინა ახლად აშენებული ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესია.

## ჭკადუაშის წმინდა ალექსანდრეს ნეველის სახელობის ეპლესია

XIX საუკუნის მიწურულს პრინცმა აშილ მიურატმა ჭკადუაშის მამულში, სახლთან ახლოს საფუძველი ჩაუყარა მცირე კათოლიკური ეპლესის მშენებლობას, რადგან თვითონ კათოლიკური სარწმუნოების აღმსარებელი იყო. ეს ეპლესია ინგლისელი ტექნიკოს-მშენებელ აშორსტის ნახაზების მიხედვით ააშენეს. მიურატი ვერ მოესწრო მის დამთავრებას, რადგან 1895 წლის 15 თებერვალს პრინცმა საკუთარ სახლში თავი მოიკლა. მიცვალებულის გასვენების პროცესს წინ კათოლიკეთა პატრი მიუძღვდა, რომელმაც წესი აუგო განსვენებულ პრინცს. აშილ მიურატი ამ დაუმთავრებელი ეპლესის ეზოში, საგანგებოდ გაკეთებულ “აკლდამაში” დაკრძალეს.

1896 წლისთვის ეპლესის მშენებლობა საბოლოოდ დასრულდა და 23 ნოემბერს პრინცესა სალომე დადიან-მიურატმა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს გრიგოლს მართლმადიდებლურად აკურთხებინა. კურთხევას ახლო-მახლო სოფლებიდან უამრავი ხალხი დასწრებია. ახალ ტაძარს ჭკადუაშის მისი უმაღლესობის პრინცესა მიურატის სასახლეს კეთილმორწმუნე მთავარი ალექსანდრე ნეველის ეპლესიას უწოდებენ.

მცირე ზომების მიუხედავად ეპლესია ლამაზად და მდიდრულად მორთული ყოფილა და მისი მსგავსი ახლო-მახლო ადგილებში არ მდგარა. სამწუხაროდ მიურატების ეს ეპლესია საბჭოთა ხანაში დაუნგრევიათ და ქვები სხვადასხვა დანიშნულებით გამოუყენებიათ. 50-60 წლის უკან ჯერ კიდევ შემორჩენილი ყოფილა ამ ეპლესის ნაშთები.

გარდაცვლილ მეუღლეს პრინცესა სალომემ ეპლესის გვერდით სამლოცველოც “Часовник” აუგო, რომელიც რესპონდენტს ( ბ. პაპავა, დაბ. 1914 წელს) შემდეგნაირად ახსოვს: ეს იყო სვეტებიანი გადახურული ნაგებობა, ხოლო სვეტებს შორის მსხვილი ჯაჭვი იყო გავლებული. დღეს არც ამ ნაგებობის ნაშთებია შემორჩენილი. მხოლოდ პრინც მიურატის საფლავზე დევს ლოდი სამენვანი (ქართული, რუსული, ფრანგული) წარწერებით, რომელიც მაშინ დადეს, როცა გასული საუკუნის 80-იან წლებში პიონერთა ბანაკის მშენებლობა დაიწყეს.

## ჭკადუაშის დადიანების სასახლე

ჭკადუაში დადიანთა სამთავრო სახლი უმცროსი შტოს კუთვნილი ხოფელი იყო. სამეგრელოს მთავარმა პატია II-მ (1757-1788 წ.წ.) თავის უმცროს ძმას გიორგის საუფლისწულოდ შემდეგი სოფლები უბოძა: ნოჯიხევი, ნოღა (“სასახლით” და ციხე-სიმაგრით) კურზუ, (საზაფხულო რეზიდენცია “დოხორეუ”), ნაფიჩხუ, ოჩხომური, რიყე და ჭკადუაში.

რიყეში გიორგი დადიანს (დადიანისძე) საზამთრო სამყოფელი, ხოლო ჭკადუაში სასახლე ჰქონდა.

1764 წელს ჭკადუაშის სასახლეში დაიბადა გიორგი დადიანის ვაჟი, ცნობილი ისტორიკოსი, სამეგრელოს მსაჯულთუხუცესი და მდივანბეგი, გენერალ-მაიორი ნიკოლოზ (“დიდი ნიკო”) დადიანი. საისტორიო დოკუმენტებში ეს სასახლე 1855 წლის 18 მაისსაც იხსენიება, როცა აფხაზეთის მთავარმა მიხეილ შარვაშიძემ თავის მეუღლეს, ნიკოს შვილიშვილს ალექსადრა (ცუცა) გიორგი ასულს აფხაზეთიდან წერილი გაუგზავნა ჭკადუაში, სადაც იმ დროს ალექსანდრა ბავშვებთან ერთად იმყოფებოდა.

დადიანთა ეს სასახლე თანამედროვე ჭკადუაშის სასოფლო ცენტრის ტერიტორიაზე იდგა, იქ სადაც შემდგომ (საბჭოთა პერიოდში) ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკა ააშენეს. 1890-1910-იან წლებში ამ სახლში დიდი ნიკოს შთამომავალი, ნიკოლოზ (ჯვებე) დადიანი ცხოვრობდა. ადგილობრივმა მკვიდრმა, 1914 წელს დაბადებულმა ბესარიონ (ბოჩო) პაპავამ გვიამბო, რომ სასახლე მას კარგად ახსოვდა და ის ხის ორსართულიანი დიდი შენობა იყო, რომელსაც გალავანი და თხრილი ჰქონდა გარს შემოვლებული.

## ჭკადუაშის ციხე

გასული საუკუნის 50-იან წლებში საქართველოს ძეგლთა დაცვის სამმართველოს დავალებით ო. ტყეშელაშვილმა აღწერა ზუგდიდის რ-ში არსებული მატერიალური კულტურის ძეგლები, მათ შორის ჭკადუაშის ციხე, რომელიც დღეისთვის მოლიანად დანგრეულია. ციხე-სიმაგრე წყობის მიხედვით გვიან შეა საუკუნეებს განეკუთვნებოდა და მაღლობზე იყო აგებული. შემორჩენილი იყო საძირკველი და კედლების ნაწილი,

რომელსაც წვრილი ხეები და ეკალ-ბარდი ფარავდა. მრგვალი მოყვანილობის გალავანი რიყის ქვით და კირით იყო ნაგები, რომლის დასავლეთ მხარეს ოთხეუთხა მოყვანილობის კოშკი იდგა. ადგილობრივი მცხოვრებლის (ვასილ პაპასქირი) გადმოცემით, ეს ციხე სვანეთისკენ მიმავალ გზას უწევდა კონტროლს. გალავნის დიამეტრი 65 მეტრს შეადგენდა, სისქე – 18-ს, კოშკის ზომა 7X6.5 მ-ს.

ჭადუაშში ეთნოგრაფიული მასალა საგანგებოდ არ შეგვისწავლია. თუმცა გასული საუკუნის ოციან წლებში აკ. ჭანტურიას ჭადუაშში ჩაუწერია მრავალი შელოცვა და წეს-ჩვეულება, რომელიც მოსახლეობაში ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ვფიქრობთ, ქვემოთ მოტანილი ეს მასალა ინტერესმოკლებული არ იქნება.

ნერჩი – ნერჩს შეალოცავენ ნამშობიარებ ქალს – ოთხი კვერი და შუა დედო (სქაში დედო). კვერებს ირგვლივ ხელს შემოავლებენ და წყალს გამოასხამენ. “ნერჩი ბატონი დიდებული, მის მკერდს ბედნიერება შენ მოუტანე”, “სუმ კვარი დო შქაში ნერჩი, მ... დალც ძალი მეჩი”.

ოდუდია – ოდუდიას ლოცულობდნენ ხველების (ხვალი, ხვალაფი) გამო. ჩვენო დამბადებელო დმურთო, თავის ტკივილი შენ გვაშორე. ოდუდია მამაკაცების სალოცავი იყო, სადაბადოქალების (მთხოვნელები ბ. გელენავა, პეტრე ჭაჭუას დედა).

ანთარი – ჟინი ანთარო დიდებულო, ბატონი, გამარჯვებულო, შენი სახელი დალოცვილი, ჩემი საქონელი შენ ამიშენე, ას-ასს ვიჭერდე და არაფერი გაკლდებოდეს, უშობელს და შობილს ვერ ვცნობდე იხე”. ლოცვა მარხვისას. ძროხის ან ცხვრის ნაშობი, ელარჯი, თემდვა (რძისაგან დამზადებული ელარჯი), მაწონი, ოთხი ყველიანი პვერი, სანთელი, საკმეველი.

ბენუა – ანთარის დალოცვამდე ახალ ხბომონაგებ ძროხის რძეს კვეთს (ნაწს) არ ჩაასხამდნენ და ყველს არ ამოიღებდნენ. რძის დალევა შეიძლებოდა ანთარის ლოცვის შემდეგ: “ბენებული” იყო და კვეთის ხმარება შეიძლებოდა (მთხ. ბახვა და დუდუ გულორდავები).

ორთა – “გალენიში ორთავ ჩემი საქონელი შენ ამიშენე.”

კაპუნია – კაპუნობას შინ ლოცულობდნენ: “მთავარო ღმერთო (დუდ ღორონთი) და აქაურო ადგილო, შენ აგვაშენე, სინათლე და ბედი მოგვეცი (მთხ. ბ. და დ. გულორდავები) პური ან ჭვავი, ყველჩადებული. სანთელი და საკმეველი. ყოველთვის ტყეში ლოცულობდნენ, ივლისის შაბათ დღეს (მთხ. ბახვა და დუდუ გულორდავები).

დედო – დიდი პური. ამას სხვა პურებს შემოულაგებდნენ, როცა ლოცულობდნენ.

**შელებური – შელებური ხაჭაპური ყველიანი უნდა ყოფილიყო.**

**გაძიგობა –** გაძიგია (გაძიგია), გარძიგია. დიდ მარხვის შუაში, მარხვიდან ოცდამეოთხე დღეს, ხუთშაბათს იყო გაძიგიას ლოცვა. აქეთებდნენ ყველაფრის ფხალს, რაც იშოვებოდა, გამორჩევით ჭინჭრისას. ფხალეულს სახლში მყოფ აჭმევდნენ, დარჩენილებს გადაყრიდნენ: “გაძიმ თქვაო, ვისაც აქვს ისევ იმას მიეცესო (მთხრ. ბახვა და დუდუ გულორდავები).

